# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 171 (5772)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# სენსაცია!

საუბარი ოთხ რესპონდენტთან, რომლებსაც, ინტერვიუერთან ერთად, ღრმად სწამთ, სამი კი მეცნიერულადაც ამტკიცებს, რომ თამარ მეფის სამუდამო განსასვენებელი გელათის მონასტერშია



მეფეთა-მეფე თამარი (მხატვარ ოთარ ქანდარიას გრაფიკული ნაწარმოები)

8-9

## „უმრეტი ენგადი ქართველთა ყოფისა“

◎ როცა ეპიტაფია არსებობს, უკვე საეჭვო აღარ არის, ვის ეკუთვნის საფლავი

## მზეო მეფეო, აღგვიდგინე საქართველო!

◎ ბოლოსდაბოლოს, პარიზის ლაბორატორიაში ასობით საუკუნის წინათ მცხოვრები ზეზვას და მზიას ასაკი დადგინდა და 8 საუკუნის წინანდელის გამოკვლევა რატომ გაჭირდება?

---

მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებსაც მხარს არასდროს დავუჭერთ — 3

ეს თუ კარგი ოპოზიციაა, ცუდი რომელიღაა? — 2

პუტინი და სტალინი: წარსულის გადასინჯვა — 10

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

# საჩელმწიფო

● როგორ შეიძლება კარგი იყოს ისეთი ოპოზიცია, რომელიც პირად ამბიციებს ვერ დაძლევს? მაშ, რა აინტერესებს, რა ამოძრავებს მას? პირადი ინტერესი, პირადი გამორჩენა, პირადი აღზევება და ბატონკაცურად ფეხმორთხმით ხელისუფლებაში დაბრძანება?



◎ შენ დაუკა...

## საქმეზე გრძელი ენა

**რაც მთავრობაში უმაღლესი ხელისუფლების ჩაწოდებით ხდება, ბრიყვთათვისაც გასაგებია, მაგრამ „უზენაესთ“, რაკი ყველაფერი გასდით, მართლაც ბრიყვებად რომ არ მივეჩნიეთ, შევუძახეთ, ეგრე არ არის თაყაო. ანუ შევეცადეთ დაგვერწმუნებინა, მთავრობანას თამაში სულ სხვაა, ქვეყნის მართვა კი სულ სხვაო. ამიტომ ამ „ღირსსახსოვარ“ მოვლენაზე — მთავრობის მომდევნო და „იმედია“, არა ბოლო კარუსელობანაზე აღარაფერს ვიტყვი. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც ძალზე ავად მენიშნა.**

**ეს თუ კარგი ოპოზიციაა, ცუდი რომელიღაა?**

მინისტრთა გადაადგილებ-გადმოადგილებებზე ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ გამართული აზრის გამოკითხვისას მავანმა რესპონდენტმა ლოგიკის ისეთი წალმა-უკულმა „კორიანტელი დააყენა“, სახტად დავრჩი — ამაზე მეტად ჭკუის საკითხავი თუ არა გვყოლია, მართლაც დავღუპულვართ და ეგ არის-მეთქი. არადა, აშკარად გამორჩეულად მოაზროვნედ წარმოგვისახეს, რადგან, ხანმოკლე პაუზით, ორჯერ წარმოგვიდგინეს ეთერში. ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, გარემოებებისა გამო, ვერც სახელი და გვარი ჩავიწერე და ვერც ის, თუ სახელდობრ, რომელი ცენტრის ხელმძღვანელი გახლდათ (ტიტრებში ამ ცენტრის დასახელება ბრჭყალებში იყო მითითებული). ჩემი ვარაუდით, უთუოდ ანალიტიკური, თანაც ავტორიტეტული, ცენტრი უნდა ყოფილიყო, თორემ სხვაგვარად ორჯერ რატომ წარმოაჩენდნენ ეთერში? სხვა გამვლელებივით ათქმევინებდნენ რამდენიმე ფრაზას და ამით მოათავებდნენ.

მაინც რა თქვა იმ ბატონმა? რა და, მიმდინარე მოვლენები სხარტად რომ ჩამოაყალიბა (ამას დიდი ანალიტიკოსობა ნამდვილად არა სჭირდებოდაძ, მერე ოპოზიციის თვისებები „გააანალიზა“ მოკლედ — კარგი ოპოზიცია გვყავს, კარგი მოლაპარაკე, მაგრამ რა გინდა, პირადი ამბიციები ვერ დაძლიეს და ვერა და ვერ გაერთიანდნენო.

თუ ამ გამონათქვამში ვინმე ლოგიკის ნატამალს მიაგნებს, აფერუმ!

მაგრამ ჯერ ესა ვთქვათ: რაკი ბატონ რესპონდენტს არ დაუკონკრეტებია, ალბათ, ორივე — საპარლამენტო და მის მიღმა ოპოზიცია იგულისხმება.

ახლა თავად გამონათქვამზე: როგორ შეიძლება კარგი იყოს ისეთი ოპოზიცია, რომელიც პირად ამბიციებს ვერ დაძლევს? მაშ, რა აინტერესებს, რა ამოძრავებს მას? პირადი ინტერესი, პირადი გამორჩენა, პირადი აღზევება და ბატონკაცურად ფეხმორთხმით ხელისუფლებაში დაბრძანება? მერედა, სწორედ ასეთები არ გვასხედან თავზე? შეჩვეული ჭირის პრინციპით, თანაც ამჟამინდელნი მეტ-ნაკლებად დანაყრდნენ მაინც, კიდევ გუდამშივრები გვინდა?

ასეთი ოპოზიცია როგორ შეიძლება კარგი იყოს? ამ „კარგს“ კიდევ ერთი კარგი თვისებაც ჰქონია. თურმე, კარგი ლაპარაკი სცოდნია. გაგიხარიათ, ნიჭია მჭევრმეტყველება. უძველესი დროიდან ფილოსოფიის ერთ-ერთ განხრად ასწავლიდნენ მსმენელებს აზრის ისე ლოგიკურად, სალად, სხარტად, ამომწურავად ჩამოყალიბებას, რომ რიტორისთვის საჭირო ზემოქმედება მოეხდინა ხალხზე. მაგრამ ლიტონი ენამზეობა გვაკლია? რაგინდ მჭევრმეტყველიც იყო, თუ სიტყვას საქმე რა მოჰყვა, რა ფასი აქვს ასეთ ენამჭევრობას? საქმეზე ბევრად გრძელი ენის პატრონნი გვაკლია?

მაგრამ ესეც რომ არა ჯდება ლოგიკაში? მივდგეთ-მოვდგეთ და რომელიც გნებავთ ოპოზიციის მჭევრმეტყველებით „მონუსხული“ ხალხი დამანახეთ. აბა, ის რა ანგარიშში ჩასაგდებია, რომელიმე სოციალურ ჯგუფსა და ფენას რომ მისდგება ზოგჯერ ხელისუფლება და ოპოზიციაც უმალ იქ დაიბადება ხოლმე? თავად დარაზმა? თავად გამოიყვანა? როცა ასეთ აქციებზე მიდის, მასმედიის წასვლისთანავე თავადაც მოუსვავს ხოლმე და ბატონი რესპონდენტი ასეთ ოპოზიციას უწოდებს „კარგს?!“

სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ბატონ რესპონდენტს ერთსღა ვკითხავ: თუ ეს კარგი ოპოზიციაა, ცუდი რომელიღაა?!

**კონსტანტინე გურგენიძე**

◎ აქტუალური თემა

## დემოკრატების ჯგუფი გაძლიერდა?

### საარჩევნო სეზონი ხელისუფლებამ მორიგი სამთავრობო კარუსელით გახსნა

**პარლამენტში გრძელდება მინისტრობის კანდიდატებისა და მთავრობის სამოქმედო პროგრამის განხილვა. გუშინ მოსმენა ოთხ კომიტეტში მიმდინარეობდა. იურიდიულ კომიტეტში იუსტიციის მომავალი მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი ჰყავდათ მიწვეული.** კომიტეტის წევრები აღნიშნავენ, რომ მათ ეკა ტყეშელაშვილთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ. მასთან წარმატებით თანამშრომლობდნენ, როცა ის შინაგან საქმეთა სამინისტროს იუსტიციის საბჭოს წევრი იყო. ამდენად, ის პრობლემატიკა, რომელზეც იურიდიული კომიტეტი მუშაობს მინისტრობის კანდიდატისთვის, მეტნაკლებად ცნობილია. კომიტეტის წევრებმა ყურადღება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემაზე გაამახვილეს, რაც იუსტიციის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მისახედი პრობლემაა. კომიტეტს მინისტრობის კანდიდატთან არანაირი პრეტენზია არა აქვს.

ასევე წარმატებით გაიარეს საკომიტეტო მოსმენები დავით ჩანტლაძემ — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში, ნიკა გილაურმა და დავით ტყეშელაშვილმა — საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ლადო ჭიპაშვილმა. იგი ჩეხეთში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ინიშნება და ბათუმის ყოფილმა მერმა ირაკლი თავართქილაძემ. ის საბერძნეთსა და ხორვატიაში იქნება საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აცხადებს, რომ დიპლომატიურ პრაქტიკაში პოლიტიკური პირების ელჩებად დანიშვნა ძალზე ხშირია და, თუ ეს ოპოზიციამ არ იცის, ეს მხოლოდ მისი პოლიტიკური განათლების ნაკლია.

ოპოზიციას არც მომავალი მინისტრების სამოქმედო გეგმა მოსწონს. მრეწველთა ლიდერი ზურაბ ტყემალაძე აღნიშნავს, რომ ეს მთავრობის სამოქმედო



გეგმა კი არა, ახალგაზრდა მინისტრების სურვილებია, თუ როგორ ქვეყანაში სურთ ცხოვრება. ტყემალაძის თქმით, ეს სურვილები ძალიან ჰგავს სადღეგრძელოებს, რომელთა მოსმენაც სუფრაზე შეიძლება, მაგრამ პარლამენტში დაუშვებელია. დემოკრატიულმა ფრონტმა მთავრობის ახალ წევრებს ნდობაზე თავიდანვე უარი გამოუცხადა, მემარჯვენეების პროტესტი კი იმან გამოიწვია, რომ მათ წინადადებაზე, ფრაქციაში შეხვედრაზე მთელი სავარაუდო მინისტრთა კაბინეტი მისულიყო და მთავრობის სამოქმედო გეგმა პრემიერ-მინისტრს წარმოედგინა, ზურაბ ნოღაიდელმა უარი თქვა. შესაბამისად, მემარჯვენეებმაც მინისტრობის კანდიდატებთან შეხვედრაზე უარი თქვეს.

— მხოლოდ შეცვლილ მინისტრებს უნდა შევხვდეთ? იქნებ სურვილი გაგვიჩნდეს, რომ ყველას შევხვდეთ? ოპოზიცია ოპოზიცია არ არის, თუ იგი ორ სფეროში მხარს უჭერს ხელისუფლებას. ეს არის მინისტრთა კაბინეტი და ბიუჯეტი... მინდა, ერთი რამ ვთქვა: ყველა პოლიტიკური ცვლილება 2007 წლის შემოდგომაზე ან არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, მომავალი არჩევნების ჭრილში ხორციელდება, — აცხადებს მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე.

მოგეხსენებათ, ნაციონალური მოძრაობა ცალკეული ჯგუფებისგან შედგება — თავისუფლების ინსტიტუტი, ახალგაზრდა ნაციონალებისა და ბურჯანაძე-დემოკრატების ანუ „ქვანიას ჯგუფი“. ძნელი დასანახი არ არის, რომ ამ საკადრო ცვლილებებით თუ ვინმემ მოიგო, დემოკრატების ჯგუფია — იგივე ტყეშელაშვილი, ალექსიშვილი, გილაური და თავად პრემიერ-მინისტრი. სავარაუდოდ, პრეზიდენტმა ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე სუსტის გასაძლიერებელი ნაბიჯი გადადგა. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ 2008 წლის არჩევნების წინ ჟვანიას გუნდის გაძლიერება პრეზიდენტს, თავისუფლების ინსტიტუტს ახალგაზრდა ნაციონალებსა და დემოკრატებს შორის უკეთესად ლავირების საშუალებას მისცემს.

ოპოზიციის აზრით, პრეზიდენტმა, გათვლით თუ გაუთვლელად, მოაძლიერა ჟვანიას ჯგუფი, რომელიც რისთვის და რატომ სჭირდება, ახლო მომავალში დავინახავთ.

სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარემ ამ ცვლილებებზე არაფერი უწყოდა. კულუარებში ლაპარაკობენ, რომ საარჩევნოდ პრეზიდენტს გამოცდილი გუნდი სჭირდება. ის ხალხი, ვისაც არჩევნების ორგანიზება-ჩატარების გამოცდილება აქვს, ასეთი კი ჟვანიას გუნდია. ოპოზიციის აზრით, საქართველოს მთავრობამ საარჩევნო შტაბის ფორმა მიიღო და, ამდენად, საარჩევნო სეზონი ხელისუფლებამ მორიგი სამთავრობო კარუსელის დატრიალებით გახსნა.

**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია

### პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა

**ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელი სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.**

**როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, სხდომას კომიტეტის მხოლოდ სამი წევრი ესწრებოდა, რის გამოც ის კანონდარღვევით ჩატარდა.**

**ტყემალაძის თქმით, სხდომა ძალიან მნიშვნელოვან საკითხს — მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას ეხებოდა, კომიტეტში კი წევრების ნახევარზე მეტი არ მივიდა.**

**საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განმარტებით, პარლამენტში ერთდროულად რამდენიმე კომიტეტის სხდომა ტარდება, რის გამოც, ყველა წევრმა სხდომაზე დასწრება ვერ მოახერხა.**

### ჩეჩნეთში სკოლა დაცხრილეს

**უცნობმა პირებმა ჩეჩნეთის ერთ-ერთი სოფლის სკოლა დაცხრილეს.**

**რუსული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, რომელიც სოფლის სახელწოდებასა და სკოლის ნომერს არ ასახელებს, ეს სასწავლო დაწესებულება გვიან ღამით დაცხრილეს.**

**სამართალდამცავების მტკიცებით, ბოროტმოქმედებმა სკოლის მიმართულებით ყუმბარმტყორცნიდან გაისროლეს.**

**დამნაშავეების დასაკავებლად შემთხვევის ადგილზე პოლიციის ეკიპაჟი მივიდა. ერთი პოლიციელი სასიკვდილოდ დაიჭრა.**

**ინტერპრესნიუსი**

**ჩვენს ქვეყანაში აღარ არის სასამართლო, პარლამენტი... ნაკლოვანებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ ხელისუფლების კურსს**



ოპოზიცია

# მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებსაც მხარს არასდროს დავუჭერთ,

## ამბობს მანანა ნაჭყებია და ნოღაიდელის პროგრამას ზოგადს და დაუსაბუთებელს უწოდებს

**7 სექტემბერს პარლამენტის რიგგარეშე სესია განიხილავს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მიერ წარმოდგენილ სამთავრობო პროგრამას – „ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის“. ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია ფიქრობს, რომ ამ პროგრამაში სერიოზული, საგრძნობი ცვლილებები არ არის. ბატონ ნოღაიდელს პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, კონსტიტუციის მე-80 მუხლის შესაბამისად, მსგავსი პროგრამა ყოველთვის შემოაქვს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად.**

„ეს პროგრამა მთლიანად ზოგადი და დაუსაბუთებელია. არანაირი გათვლები, კონკრეტული ფორმები და მეთოდები იმისა, თუ როგორ აპირებს მთავრობა ამოცანებისა და მიზნების მიღწევას, მასში არ არის. ამ პროგრამას, რომელშიც მთავრობის სურვილებია ჩამოყალიბებული, ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა ძალიან კარგად შეარქვა „სადღეგრძელო“.

სურვილები, ამოცანები, იცოცხლეთ, შესანიშნავია, მაგრამ როგორ, რა ხერხებით მიიღწევა ეს ამოცანები, კონკრეტულად, როგორ არის წლებზე გაწერილი და შემდეგ რის გაკეთებას აპირებს მთავრობა, ამაზე პროგრამაში არაფერია ნათქვამი“.

**– არც კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე გვთავაზობენ კონკრეტულ სიახლეს?**

– პროგრამაში წერია: „კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის სამშვიდობო ინიციატივებისა და სამოქმედო გეგმების მიზანმიმართული განხორციელება“, ანუ ეს არის ზოგადი ფრაზები, რომლითაც მანიპულირებდა შევარდნაძისდროინდელი ხელისუფლება და რომლითაც დღევანდელიც მანიპულირებს. აქ იგულისხმება ის, რომ უნდა გააქტიურდეს დიალოგი კონფლიქტის რეგიონების მოსახლეობასთან, გაიზარდოს საერთაშორისო თანამეგობრობის როლი.

კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, ერთადერთი სიახლე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის დროებითი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციის ეფექტიანობის ზრდაა, რაც წინა პროგრამაში არ იყო, რადგან ასეთი ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობდა.

მაგრამ, როგორ გაიზრდება ეს ეფექტიანობა და, საერთოდ, რამდენად მართებულია, როცა ამას ღიად ვაცხადებთ, ეს ერთეული ოსი მოსახლეობის სურვილით შეიქმნა თუ ჩვენი მოსახლეობის დაკვეთით? მართებულია, როდესაც საჯაროდ ხდება ამ ყველაფრის დეკლარირება?

ასე, რომ ვერანაირ სიახლეს ამ პროგრამაში, განსაკუთრებით კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, ვერ ვხედავთ.

მანანა ნაჭყებიას აზრით, თავად ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის ფაქტს რაღაც მინიმალური შანსი აქვს და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

„ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები გვარწმუნებენ, რომ ადმინისტრაციული ერთეული მოიპოვებს არა მხოლოდ დე ფაქტო საზღვარს აქეთ მცხოვრები მოსახლეობის ნდობას, არამედ იქეთური მცხოვრებთა ნდობასაც. თუ მოსახლეობა, ბოლოსდაბოლოს დაასკვნის, რომ მათ, საქართველოსთან ცხოვრების გარდა, სხვა გზა არ დარჩენიათ, რომ სამხრეთ ოსეთი და, საერთოდ, ოსი ხალხი, თუ ის სხვა გზას დაადგება, დაიკარგება და როგორც ეთნოსი, აღიგავება პირისაგან მიწისა, მოხდება მისი სრული ასიმილაცია რუსეთის მოსახლეობაში. დარწმუნებული ვარ, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობა ამას კარგად აცნობიერებს.

ჩვენ ხელისუფლებასთან ერთად, ცხადია, ვიღებთ პასუხისმგებლობას, ოს ხალხს სრულ გარანტიას ვაძლევთ, რომ ისინი მხოლოდ ერთიანი საქართველოს პირობებში შეინარჩუნებენ კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციას, ენას... წინააღმდეგ შემთხვევაში ვაფრთხილებთ ჩვენთვის ძვირფას და საყვარელ ადამიანებს, რომლებთანაც თანაცხოვრებისა და თანამეგობრობის მრავალი წელი გვაკავშირებს – ისინი სამუდამოდ განწირული არიან, აღიგავონ პირისაგან მიწისა. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, პროექტს განხორციელების შანსი აქვს და თავის დროზე მას მხარი დავუჭირეთ. ველოდებით მის სერიოზულ წარმატებას და დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს“, – დაასკვნა მანანა ნაჭყებიამ.

შეკითხვაზე, თუ რას გულისხმობენ ფართო ავტონომიის ცნებაში, მანანა ნაჭყებიამ დასძინა, რომ ამაში მხოლოდ აჭარის მსგავსი ავტონომია იგულისხმება, სხვა არაფერი. „ვფიქრობ, საქართველომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებით ერთი მტკივნეული ნაბიჯი უკვე გადადგა, რასაც ამ ტერიტორიის დაკარგვა მოჰყვა. უმართებულოა, ხელახლა შევუდგეთ ავტონომიის აღდგენას. კულტურულ ავტონომიას არ ვგულისხმობ, არამედ ისეთ უფლებებს, როგორიც შეიძლება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ჰქონდეს.

ჩვენ სათქმელი, სასაუბრო და შესათავაზებელი, მართლაც ბევრი გვაქვს სამაჩაბლოს მოსახლეობისთვის, ოსი თანამოქალაქეებისთვის. ვინაიდან ოლქი უკვე გაუქმებულია, ჩვენი ფრაქცია ფიქრობს, რომ შესაძლოა პირდაპირი დიალოგის გზით ვილაპარაკოთ“.

**– პროგრამის თქვენეული ხედვა უარყოფითია. ფრაქციის სხდომებზე მინისტრობის ახალ კანდიდატებთან შეხვედრას გეგმავთ?**

– სამწუხაროდ, ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიცია გრძელდება, როდესაც მთავრობა იმდენად თავგასულია, რომ პრემიერ-მინისტრის მოსვლას ფრაქციებსა და კომიტეტებში საჭიროდ არ მიიჩნევს, პრემიერ-მინისტრი მობრძანებას ინებებს მხოლოდ პლენარულ სხდომაზე. ამის გამო, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი ფრაქცია მინისტრობის კანდიდატებს არ შეხვდება.

სიმართლე გითხრათ, საკითხავიც ბევრი არაფერია. ესენი სრულიადაც არ არიან ახალი ადამიანები. ამ პროგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ და არც მინისტრთა კაბინეტს ახალი ხედვა არა აქვთ... ამიტომ აუცილებლობას ვერ ვხედავთ, ფრაქციის სხდომაზე შევხვდეთ და ვესაუბროთ.

ცხადია, არც ამ პროგრამას დავუჭერთ მხარს და არც მინისტრთა კაბინეტის განახლებულ შემადგენლობას, რადგან ძალიანაც რომ მოგვწონდეს რომელიმე კონკრეტული კანდიდატი, მთავრობაში არიან ადამიანები – ბატონი ბენდუქიძე, ვანო მერაბიშვილი და კახა ლომაია, რომლებმაც საქართველოს მოსახლეობის ნდობა დაკარგეს: ოპოზიციაც იმიტომ არის ოპოზიცია, რომ ის არ იღებს პასუხისმგებლობას არც მთავრობის საქმიანობაზე, არც ზოგადად ამ ხელისუფლების პოლიტიკაზე – ეკონომიკის გაჯანსაღება იქნება ეს თუ სოციალური სფეროს წინსვლისთვის გადადგმული ნაბიჯები.

ჩვენი აზრით, ეს ნაბიჯები არ ემსახურება ქვეყნის გაძლიერებას, პირიქით – უკუპროცესი მიმდინარეობს, მოსახლეობა ფაქტობრივად უმუშევარია და უკიდურესად უჭირს. ჩვენი ქვეყანა დაემსგავსა განვითარებად ქვეყნებს, უკიდურესი პოლარიზებით, როდესაც საზოგადოების ერთი ფენა ძალიან გამდიდრდა და მეორე უკიდურესად გაღატაკდა, რომ აღარაფერი ვთქვათ, დემოკრატიის თვალსაზრისით უკუსვლაზე. ჩვენს ქვეყანაში აღარ არის სასამართლო, პარლამენტი... ნაკლოვანებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ ხელისუფლების კურსს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**



ინფორმაცია

## საჯარო სკოლების მასწავლებლებთან ახალი შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების“ პროექტის საბოლოო ვარიანტი იუსტიციის სამინისტროს დასამტკიცებლად გადასცა.**

როგორც განათლების სამინისტროდან იტყობინებიან, პროექტში ჩამოთვლილია ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობები. ამასთან, პროექტი, მხარეების შეთანხმების შემთხვევაში, სხვა სახის უფლებებისა და მოვალეობების დამატებასაც ითვალისწინებს.

მათივე ინფორმაციით, ხელშეკრულების პროექტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შემუშავდა. „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა“ 32 შენიშვნა წარადგინა, რომელთაგანაც 22 უკვე გათვალისწინებულია.

ამასთან, სამინისტრომ არ გაიზიარა შენიშვნები იმ საკითხებზე, რომლებიც უკვე რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, ან რომელთა გადაწყვეტა, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

## მოსამართლემ უკანონო სასამართლო გადაწყვეტილება მიიღო

**საქართველოს სახალხო დამცველი გენერალური პროკურატურის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლითაც სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ლუიზა ყუფარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.**

სახალხო დამცველი ყუფარაძეს უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, მოსამართლეს კანონით უფლება არ ჰქონდა არასრულწლოვანისთვის ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდებინა, ყუფარაძემ კი აღნიშნული ნორმა დაარღვია და არასრულწლოვან ალექსანდრე ლ.-ს ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

აპარატში განმარტეს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტ წელს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს.

„როგორც კი ამ თემაზე სახალხო დამცველის ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა, მოსამართლე ყუფარაძემ კურიოზული გადაწყვეტილება მიიღო – მან თავად გაასაჩივრა თავისი გადაწყვეტილება. შედეგად, არასრულწლოვან ალექსანდრე ლ.-ს ადმინისტრაციული პატიმრობა, პატიმრობის 7 დღის შემდეგ, 500 ლარი ჯარიმით შეეცვალა. აღმოჩნდა, რომ ერთი სამართალდარღვევისთვის მას 2 სახდელი დაეკისრა - 7 დღე პატიმრობაც მოიხადა და 500 ლარი ჯარიმაც დაეკისრა“,– აღნიშნეს აპარატში.

სახალხო დამცველის აპარატში მიაჩნიათ, რომ ყუფარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოსაძიებელი არაფერი იყო, რადგან ბრალეულობას მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილება ადასტურებდა. მათი აზრით, პირდაპირ უნდა დამდგარიყო მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

**ინტერპრესნიუსი**

# თემა

**ქონებაჩამორთმეულები ძნელად თუ შეძლებენ ობიექტურობის შენარჩუნებას. მათგან ისინი, ვისაც სჯერათ „ცუდი ვეზირებისა და კეთილი მეფის არსებობის თეორიის“, „კეთილი მეფის“ ხელახალ არჩევას დაუჭერენ მხარს; დანარჩენები კი ამჟამინდელ ხელისუფლებაზე შურის (და არა სამართლიანობის) მაძიებელ სოციალურ ძალას მისცემენ ხმას**



## ინფორმაცია

### ვაშაძე ანხელ მორატინოსს შეხვდა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნიკოლოზ ვაშაძე თბილისში მყოფ ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიგელ ანხელ მორატინოსს შეხვდა.**

როგორც სამინისტროდან იტყობინებიან, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 6 აგვისტოს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმას და ამასთან დაკავშირებით ეუთო-ს ფარგლებში შესაძლო შემდგომი ნაბიჯების გადადგმას.

აღინიშნა, რომ მსგავსი სახიფათო ინციდენტების გამეორების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, როგორც ეუთომ, ისე მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ, ქმედითი დიპლომატიური ზომები მიიღოს.

შეხვედრაზე განხილეს, აგრეთვე, ესპანეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები.

### ბარამიძე ბრიუსელში კონფერენციაზეა

**ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება.**

როგორც ვიცე პრემიერმინისტრის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, ვიზიტის ფარგლებში 3 სექტემბერს შედგა შეხვედრა გიორგი ბარამიძესა და საგარეო ურთიერთობათა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის კომისართან ბენიტა ფერერო ვალდნერთან.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში ევროკავშირის როლის გააქტიურების საკითხი, რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევისა და საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის შემთხვევები, ასევე ისაუბრეს სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობაზე, საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზების გამარტივების პროცესის დაჩქარებაზე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივებზე.

შეხვედრაზე ბენიტა ფერერო ვალდნერმა განაცხადა, რომ ევროკომისია მხარს უჭერს საქართველოს ზემოაღნიშნულ საკითხებში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკომისია დაეხმარება საქართველოს, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მხარი დაუჭირონ საქართველოს წინადადებებსა და ინიციატივებს.

**ინტერპრესნიუსი**

## განსჯა

# როგორ ხალხს იმსახურებს ხელისუფლება?

**ამის საპირისპიროდ, ადამიანებთან, რომლებსაც გააჩნიათ საკუთრება, საკუთარი შეხედულება ქვეყნისა თუ საკუთარი ბიზნესის დღევანდელობასა და მომავალზე, ძნელია პოპულისტური განცხადებებით ფონს გასვლა. მათ იციან თავიანთი ფასი და ადგილი საზოგადოებაში, უფლებები და მოვალეობები, საკუთარი ძალისხმევით ცდილობენ ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და, რაც მთავარია, ნაკლებად არიან ილუზიების ტყვეობაში, რომ ვიღაცა მოვა და დაულაგებს ცხოვრებას, მოუვლის და უპატრონებს... მათთან მუშაობა საარჩევნო ხმების მისაღებად გაცილებით ძნელია, მაგრამ სწორედ ისინი არიან დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესის რეალური გარანტორები. ამიტომ, რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ,** საკუთრების ჩამორთმევის კომპანიით წარმოებული ფასადური ბრძოლა „სამართლიანობის აღდგენისათვის“ ისევ და ისევ ლუმპენური ცნობიერების ელექტორატის გამრავლებას ემსახურება. — **ქონებაჩამორთმეულები ძნელად თუ შეძლებენ ობიექტურობის შენარჩუნებას. მათგან ისინი, ვისაც სჯერათ „ცუდი ვეზირებისა და კეთილი მეფის არსებობის თეორიის“, „კეთილი მეფის“ ხელახალ არჩევას დაუჭერენ მხარს; დანარჩენები კი ამჟამინდელ ხელისუფლებაზე შურის (და არა სამართლიანობის) მაძიებელ სოციალურ ძალას მისცემენ ხმას. ორივე გადაწყვეტილება სოციალური სამართლიანობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით გრძელვადიან პერსპექტივაში უაღრესად საეჭვო ღირებულებისაა.**

**უნდა ითქვას, რომ საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაში აღმოჩენის გარკვეული „წვლილი“ მისი მასობრივი ათეიზმიდან მასობრივ მორწმუნეობაში გადასვლის პროცესის დაუსრულებლობაშიცაა. — მართალია, საქართველოში შენდება მრავალი ეკლესია, მაგრამ საზოგადოების საგრძნობი ნაწილი ჯერაც არაეკლესიურია, ბევრის „ეკლესიურობა“ კი უფრო „ეკლესიაში მისვლით“ გამოიხატება, ვიდრე „ეკლესიის სულიერებაში შემოსვლით“.** სწორედ ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის, რწმენის ნაკლებობაში უნდა ვეძებოთ ამდენი აგრესიის მიზეზი. **აქ განსაკუთრებით სცოდავს ხელისუფლება საზოგადოების მიმართ პერიოდულად განხორციელებული პერმანენტული მუქარისა და „ნულოვანი ტოლერანტობის“ არაორაზროვანი მესიჯებით.**

**ხელისუფლება, რომელიც ტოტალურ მუქარაზე და რეპრესიებზე, მართვის ავტორიტარულ მეთოდებზეა გადასული, არ შეიძლება შინაგანად მოწოდებული და მოწადინებული იყოს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებით.** ამიტომაცაა, რომ 2006 წელს საქართველოს მოსახლეობა შემოსავლებით ჯერაც ფაქტობრივად 2003 წლის დონეზეა, ხოლო რეალური ხარჯებით იგი 2002 წლის დონეზეა გადასროლილი. **2001-2003 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ყოველი ერთი ლარიდან შინამეურნეობების „ყულაბაში“ მიემართებოდა ყოველი მესამე თეთრი, 2003 წლის მომდევნო პერიოდში კი — ოთხჯერ ნაკლები.**

**ხელისუფლება, გრძნობს რა მისდამი ბიზნესის უნდობლობას, ცდილობს სამამულო ბიზნესი არა მარტო ბოლომდე „გაპარსოს“, არამედ „გაატყაოს“ კიდეც; სადაც შესაძლებელია, ჩაანაცვლოს ადგილობრივი ბიზნესი და კაპიტალი უცხოურით, რომელსაც ადგილობრივთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს — „ვალდებულება“, რომ დროთა განმავლობაში არ მოახდინოს გაზრდილი მოგების „სუბლიმირება“ პოლიტიკურ ამბიციებში, რის პირობასაც ნამდვილად ვერ იკისრებს ქართული ბიზნესი (მისთვის ამ რეალურ საფრთხეს ნამდვილად აცნობიერებს ამჟამინდელი მმართველი რეჟიმი). ამიტომაცაა უაღრესად დაბალი საშუალო და მცირე ბიზნესის წილი ეკონომიკაში — მასზე მთელი ბიზნესის მხოლოდ მეოთხედი მოდის, მაშინ როცა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში იგი 2/3 მაინცაა.**

**ნათქვამია, რომ შეიძლება ერთი ადამიანი მუდმივად მოატყუო, შეიძლება ხალხი გარკვეული ვადით მოტყუებული გყავდეს, მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხი მუდმივად მოტყუებული ამყოფო. ამიტომ ურა-„პატრიოტული“ შეკრებების აპლოდისმენტებს თუ არ ჩავთვლით, ამ ხელისუფლების მიმართ საზოგადოება არაფრით გამოხატავს „ხბოს აღტაცებას“, უფრო პირიქით, ძლიერდება საზოგადოების მათი ქცევით განხიბვლა. ამაზე ხელისუფლებისაგან მედიის მეშვეობით რამდენჯერმე არაორაზროვნად საყვედურიც კი გაისმა: „კარგები ვართ და არ გვაფასებთო“. — ამ კაი დედმამიშვილებს ნუთუ არ გაუგიათ, რომ რწმენა ინდივიდუალური ცნობიერების ნაყოფია და მიუხედავად ტელეტერორის არნახული მასშტაბებისა, ამ უკანასკნელსაც კი არ ძალუძს ადამიანის ცნობიერების მყისიერი და მართული შეცვლა?! სამაგიეროდ, თავისი არაორაზროვანი და საყვედურიანი მესიჯით ხელისუფლებას სერიოზული ეჭვი შეაქვს ცნობილ ნათქვამში,** რომლითაც ყოველ ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებს. - **ნარცისიზმით შეპყრობილი ხელისუფლება თვლის, რომ იგი უკეთეს ხალხს „იმსახურებს“ (აბა, „ჩასარეცხები“ „რა ხალხია?!“).**

პრინციპში, ბოლო წლებში იმდენი რამ შეცვალა ხელისუფლებამ, კონსტიტუციით დაწყებული და მორალური ფასეულობების კრიტერიუმებით დამთავრებული, რომ მათ ფონზე ერთი ანდაზის შინაარსის შეცვლა რა სალაპარაკოა? მაგრამ სწორედ რომ ზემოხსენებული ანდაზისადმი საზოგადოების დამოკიდებულება შეიძლება იქცეს იმ სასინჯ ქვად, რომელიც შესაძლებელია ჩაიდოს ამ ხელისუფლებისადმი ნდობისა თუ უნდობლობის ბალავარში. საამისო რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით 200 ათასი ხელმოწერის შეგროვების ნაცვლად, იქნებ უფრო მარტივად, ეკონომიურად და ოპერატიულად ჩაგვეტარებინა აღნიშნული დამოკიდებულების შესწავლა ტელევიზიით შემდეგი შინაარსის ინტერაქტიური გამოკითხვით:

**„პასუხი გაეცით შემოთავაზებული ორი პასუხიდან ერთ-ერთს:**

1. საქართველოს ხელისუფლება დღევანდელთან შედარებით „უკეთეს ხალხს იმსახურებს“;

2. საქართველოს ხელისუფლება იმაზე უარეს ხალხს იმსახურებს, ვიდრე დღეს მას ყავს“.

**ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით ყველა იმ ოჯახს შეუძლია, ვისაც ტელევიზორი აქვს და აღმასრულებლები ჯერ არ მისდგომიან მათ საკუთარი ბინის დაცლის მოთხოვნით, როგორც ეს თაბუკაშვილის ქუჩის ერთი სახლის მცხოვრებლებს გაუკეთეს.**

**პასუხის გაცემა, ანუ არჩევანის გაკეთება ჯერ კიდევ შეიძლება, ჯერ კიდევ არ არის გვიან.**

**ვინძლო, ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხიც მზად გქონდეთ...**

**სოსო არჩვაძე**




დასასრული, დასაწყისი იხ. „სრ“ № 169-170.

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

# ეს იყო, იყო...

● მეორე დღეს გენერალურმა მდივანმა დებოშიორის გადაყენება გადაწყვიტა, მაგრამ დამსახურებული მუშაკის საქმიდან სრული ჩამოშორება არ უნდოდა. ამიტომ რედენსი ბელორუსიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნა, ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციის სახალხო კომისრის საპატიო პოსტი ლავრენტი ბერიას ერგო წილად. ეს 1931 წლის აპრილში მოხდა“



## ◎ 1930-იანი წლების რეპრესიების „შავი იუბილე“ (70 წლისთავი)

# განაჩენს ხელს აწერს „სამეული“

**ნაწყვეტები ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან „დაკარგული საფლავები“**

ს. დავლიანიძეს თავისი მოკვლევის შედეგები ა. რაფავასთვის უცნობებია, მას კი პირობა მიუცია, პირადად გამოვიკვლევ ყველაფერსო. მაგრამ რეალურად მხოლოდ იმით შემოფარგლულა, რომ კუკუტარიასთვის აუკრძალია დავლიანიძისთვის შემდგომში რაიმე ინფორმაციის მიცემა ამ პრობლემის ირგვლივ. 1945 წელს თურქეთმა სსრ კავშირს გადმოსცა თავის ტერიტორიაზე დაკავებული ასობით საბჭოთა აგენტი. მათმა უმრავლესობამ უჩვენა, რომ თურქეთის კონტრდაზვერვის ორგანოები საზღვარზევე ელოდებოდნენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის „სმერშის“ ორგანოებმა 1944 წლის 15 მარტს სსრ კავშირის საგარეო დაზვერვის უფროსს ფიტინს სიგნალი მისცეს, აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსს მ. კაკაბაძეს დანაშაულებრივი კავშირი აქვს უცხოეთის სპეცსამსახურებთანო.

გენერალ-მაიორ სერგო დავლიანიძის ეს ბარათი „ამძრავი ღვედი“ აღმოჩნდა. მას უამრავი არსებული და არარსებული „საქმე“ მოჰყვა, რამაც ავქსენტი რაფავა საბოლოოდ საჯალათო კუნძთან მიიყვანა.

რაც შეეხება ამ კაცის „საეჭვო ნათესაურ კავშირებს“. ავქსენტის ერთ-ერთი ძმა, მე-13 არმიის ქიმდაცვის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კაპიტონ რაფავა 1941 წ. 27 ივლისს ტყვედ ჩავარდა, იყო ცნობები გერმანელებთან მის თანამშრომლობაზე. ამას გარდა ავქსენტის ცოლისძმა, ნოე ჟორდანიას ნათესავი გიორგი ჟორდანია არალეგალურად წავიდა თურქეთში 1926 წელს და პარიზში დაფუძნდა. ომის დროს გერმანელების მხარეს იბრძოდა... 1953 წ. აპრილ-ივნისში საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრი იყო. 1954 წელს დააპატიმრეს, 1955 წლის ნოემბერში კი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით, სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“ მუხლით დახვრიტეს რუხაძესთან, წერეთელთან, სავიცკისთან, კრიმიასა და ხაზანთან ერთად.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 164-170.

სასამართლოზე ითქვა, რომ მისი ბრძანებით გაირჩა 5685 პატიმრის საქმე, მათგან 2465 კაცს სიკვდილი მიესაჯა. ითვლება საერთო რეპრესიების ერთ-ერთ ორგანიზატორად. სასამართლოზე საბოლოო სიტყვაში თავის მართლება არ დაუწყია. მე, უბრალოდ, ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის მსხვერპლი ვარ, მხოლოდ იმას ვნანობ, ამ არამზადა რუხაძესთან ერთად რომ მასამართლებთო.

საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი თავის მოგონებათა წიგნში საინტერესო შტრიხებს გვაწვდის ავქსენტი რაფავას დახასიათებიდან:

„1942 წელს ამ პატივმოყვარე, მაგრამ წინდაუხედავ ადამიანს რატომღაც მოეჩვენა, რომ მას რესპუბლიკაში განსაკუთრებული მისია აკისრია. შავი ზღვის სანაპიროზე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ის იყო დავიწყეთ და რაფავამ ახალი გეგმა შემოგვთავაზა — სურამის უღელტეხილზე სანგრები ავაგოთო. განვუმარტეთ, რომ ეს ნაადრევია, ხალხს შეაშინებს, ჯერ ერთს მოვრჩეთ და შემდეგ მდგომარეობის მიხედვით ვიმოქმედოთ-მეთქი. რაფავამ სტალინის მითითება მოიშველია, — ხომ თქვა, მტერი სურამის უღელტეხილთან უნდა შევაჩეროთო? ეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში მიღებული დირექტივების მექანისტურ გაგებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ახსნა-განმარტებამ არ გაჭრა.

— თუ დამეთანხმებით, გავგზავნი ჩეკისტებს, მოსახლეობას გამოვიყვან, სურამის უღელტეხილის გამაგრება ჩემზე იყოს.

ეს თავნებობა იყო. პარტიზანობას ვერ დავუშვებდით.

— ერთი კაციც არ წავიდეს ასეთი რწმენებით უშიშროების სახალხო კომისარიატიდან, თორემ დადგება საკითხი თქვენი იქ შემდგომი მუშაობის შესახებ — მიიღო ოფიციალური გაფრთხილება რაფავამ მისი უადგილო ინიციატივის გამო. სურამზე თავდაცვის ხაზი არ აგვიგია“.

„უშიშროების სახალხო კომისარს ა.რაფავას ყველაფერში ახირებული გზებით უყვარდა სიარული. მან წამოიწყო ჩეკისტების ძალებით ხელყუმბარების წარმოების ათვისება. არადა, ხელყუმბარებს ქარხნები ასეულ ათასობით უშვებდნენ. თურმე „საკუთარი ხელყუმბარები“ იმ შემთხვევისთვის უნდოდა, „გერმანელები რომ შემოიჭრნენ, მაშინ ხომ დაგვჭირდება პარტიზანული ბრძოლებისთვისო“. გამოსცადეს ახლანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ შიშველი მინდორი იყო.

კინაღამ მარცხი მოხდა. ხელყუმბარებმა ვერ გაამართლა: ეს იყო უხეიროდ ჩამოსხმული თუჯის კორპუსი, რომელიც ტოლით იყო გატენილი, ფალიის მაგივრობას ბიკფორდის ზონარი სწევდა.

რაფავას ვურჩიეთ, სანამ მარცხი არ მომხდარა, ეს საშიში წამოწყება შეეწყვიტა“.

32. რედენსი სტანისლავ ფრანცის ძე — დ. 1892 წელს მაზოვეცკში (პოლონეთი). ი. სტალინის ქვისლი. 1929-1931 წ.წ. იყო ამიერკავკასიის სფსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი. გადაიყვანეს ბელორუსიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ანტონ ანტონოვ-ოვსეენკო თავის წიგნში „ლავრენტი ბერია“, თუმცა, არ განმარტავს, რა წყაროს ეყრდნობა ეს ანეკდოტური ამბავი: „სტანისლავ რედენსი ძლიერი ხასიათით არ გამოირჩეოდა, ბერიამ (ის მაშინ რედენსის მოადგილე იყო — ა.ა.) მალე მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ (სხვათა შორის, სუკ-ის არქივში, მის დაწვამდე ორიოდ დღით ადრე, წავაწყდი რედენსის მიერ ხელმოწერილ, 1930 წლით დათარიღებულ, ბერიას მეორე შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების 20-გვერდიან წარდგინება-დახასიათებას მოსკოვისთვის, სადაც ის პირდაპირ ხოტბას ასხამს ლავრენტი პავლოვიჩის გამორჩეულ ჩეკისტურ ნიჭს, ჩამოთვლის მის საგმირო საქმეებს — ა.ა.). შეფს ჩეკისტები შინაურობაში დაცინვით „ბერენს“ ეძახდნენ. ბერიას ერთი სული ჰქონდა, როგორმე მისი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ რედენსზე ხელის აღმართვას, ჯერჯერობით, ვერ ბედავდა: შეფის მეუღლე ანა ხომ ნადეჟდა ალილუევას ღვიძლი და იყო. ისიც იცდიდა, იცდიდა საკმაოდ დიდხანს, თითქმის სამი წელი. დადგა თუ არა ხელსაყრელი მომენტი, პირველივე შესაძლებლობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. იმ ღამით, დაბადების დღის აღსანიშნავ საღამოზე, შეფი უგონოდ დაათრო და თამხლების გარეშე გაუშვა. რედენსი მახლობელ სახლში შევიდა, სადაც კანცელარიის ახალგაზრდა თანამშრომელი ქალი ნინა მ. ეგულებოდა. მთვრალმა სხვის კარს აუტეხა ბრახაბრუხი. არ გაუღეს. მაშინ მან მუქარა დაიწყო. ბოლოს სახლის პატრონმა კარი გააღო და ლამის დებოშიორს გვარიანად წაუთაქა. ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ, ვიღაცამ მილიციას გამოუძახა და რედენსი განყოფილებაში წააბრძანეს. როდესაც მან მაზარა გაიხადა, მილიციის მუშაკებმა სამხედრო ნიშნების მიხედვით დიდი შეფი ამოიცნეს. ამოიცნეს, მაგრამ გვიანი იყო... ბერიამ უკვე მოასწრო მოსკოვში სტალინთან დარეკვა, ასე და ასე მოხდაო. მეორე დღეს გენერალურმა მდივანმა დებოშიორის გადაყენება გადაწყვიტა, მაგრამ დამსახურებული მუშაკის საქმიდან სრული ჩამოშორება არ უნდოდა. ამიტომ რედენსი ბელორუსიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნა, ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციის სახალხო კომისრის საპატიო პოსტი ლავრენტი ბერიას ერგო წილად. ეს 1931 წლის აპრილში მოხდა“.

მინიჭებული ჰქონდა უშიშროების სამსახურის პირველი რანგის კომისრის წოდება, რაც მაშინ შეესატყვისებოდა პირველი რანგის კომანდარმის, ანუ თანამედროვე არმიის გენერლის სამხედრო წოდებას.

დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

33. როზენბლიუმი მაქს რაფაელის ძე — დ. 1900 წელს ლოძში. 1937 წელს საქართველოს შინსახკომის განყოფილების უფროსის მოადგილეა. 1938 წელს „სამეულის“ გადაწყვეტილებით დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1957 წელს.

34. სტანსკი (პარუკოვი) იოსებ თომას ძე — დ. 1892 წელს თბილისში. სკკპ წევრი 1917 წლიდან. 1917 წელს იყო ტრაპიზონის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, 1920 წელს — თერგის ოლქის ტრიბუნალის თავმჯდომარე და მთის რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი, 1920 წლიდან — ვლადიკავკაზის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, შემდეგ — მთის რესპუბლიკის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე. 1922-1923 წლებში აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეა, 1926 წლიდან კი — საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე. 1929-1930 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსად, 1931-1934 წლებში — ამიერკავკასიის ფედერაციის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 1934-1935 წლებში კი — ამიერკავკასიის სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ. დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ჩეკისტის“ ორი სამკერდე ნიშნით. იმავე წელს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების მე-2 რანგის კომისრის წოდება. „დამსახურება“ მასაც ისევე დაუფასეს, როგორც თვითონ უფასებდა სხვებს: 1937 წელს ჯერ გაათავისუფლეს „ავადმყოფობის გამო“, 1938 წელს კი დააპატიმრეს და დახვრიტეს.

35. სტეფანოვი არტემ ლეონის ძე — დ. 1904 წელს აშხაბადში. იყო საქართველოს შინსახკომის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი. 1944 წელს გაათავისუფლეს „ჯანმრთელობის გაუარესების გამო“.

36. სტურუა აბესალომ გიორგის ძე — დ. 1908 წელს კულაშში. 1932-1933 წლებში იყო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ოპერრწმუნებული. 1937 წელს დააპატიმრეს და 10 წელი მიუსაჯეს. რეაბილიტირებულია 1969 წელს.

37. სულთანიშვილი კლავდიოზ ივანეს ძე — დ. 1900 წელს ქუთაისში. საშუალო განათლებით. სკკპ წევრი 1921 წლიდან. ორგანოებშია 1922 წლიდან. იყო საქართველოს შინსახკომის IV განყოფილების უფროსი. 1937 წელს სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, მერე კი დააპატიმრეს და სასტიკად (უფრო სწორად, მისთვის კარგად ცნობილი მეთოდებით!) აწამეს. შინაგანი ციხის ყოფილი ზედამხედველი ე.სურმავა 1954 წელს დაკითხვაზე — უჩვენებს, „არაადამიანურად სცემდნენ უშიშროების ყოფილ მუშაკს სულთანიშვილსო“; ყოფილი ზედამხედველი მ. ბელენკო კი წერს, რომ სულთანიშვილის ცოლიც უმოწყალოდ უწამებიათ.

38. ტიმოფეევი ნიკოლოზ სტეფანეს ძე — დ. 1897 წელს ლიპეცკში. უდაბლესი განათლებით. სკკპ წევრი 1917 წლიდან. ორგანოებშია 1919 წლიდან. 1937 წელს იყო შინსახკომის თბილისის სამხარეთაშორისო სკოლის უფროსი, IX განყოფილების უფროსი. 1938 წელს „სამეულმა“ დახვრეტა მიუსაჯა სისხლის სამართლის კოდექსის $58^{10}$ და 5-$8^{11}$ მუხლებით. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

39. ქათამაძე ივანე გიორგის ძე — დ. 1902 წელს თბილისში. უმაღლესი განათლებით. სკკპ წევრი 1936 წლიდან. ორგანოებშია 1920 წლიდან. 1938 წელს — საქართველოს შინსახკომის სპეცგანყოფილების უფროსის მოადგილე. 1956 წელს გაათავისუფლეს „ორგანოების დისკრედიტაციისთვის“.

ალეკო ასლანიშვილი

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენ

კვლავ მძიმე რჩება დემოგრაფიული ვითარება საქართველოშიც. საკმარისია ითქვას, რომ 2005 წელს ქვეყანაში დაიბადა 46 ათასი ბავშვი, მაშინ, როდესაც 1990 წლამდე საშუალოდ წელიწადში თითქმის 100 ათასი ბავშვი იბადებოდა. ამჟამად ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 1,3 ბავშვს აჩენს. თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონსაც ვერ მიაღწევს. ერთშვილიანი ოჯახების ზრდის კვალობაზე არა მარტო შობადობა მცირდება, არამედ საკმაოდ მყარი ნიადაგი ექმნება ჩვენი ეროვნული სულიერების მსხვრევას, ქართული სულიერი სამყაროს გადაგვარებას



**საზოგადოება**

# გლობალიზაციის ეროვნულ-დემოგრაფიული ასპექტები

**მსოფლიო გლობალიზაციას უწინარესად ის აინტერესებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურ „ლანდშაფტში" ესა თუ ის სივრცე უკაცრიელი, აუთვისებელი არ იყოს. ამასთან, მისთვის მთავარია სამუშაო ძალის არა ეთნიკური კუთვნილება, მისი ეროვნული ნიშან-თვისებები, არამედ სამუშაო ძალა როგორც ასეთი, მისი პროფესიული, საქმიანი თვისებები. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი მას იმდენად აინტერესებს, რამდენადაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ესა თუ ის რაოდენობა ამ ეკონომიკური სივრცის ათვისებას, ამ ეკონომიკურ სივრცეში არსებული მისთვის საჭირო რესურსების მოძრაობაში მოყვანას. შეიძლება უფრო მეტიც ითქვას — ეთნიკური წარმომავლობა გლობალიზაციას საერთოდ არ აინტერესებს. სამაგიეროდ ეროვნული სახელმწიფოები ამ პრობლემას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ. გლობალიზაციის პროცესში ეროვნულმა სახელმწიფოებმა თავიანთი ეროვნული და დემოგრაფიული პრობლემები გლობალისტიკის მიერ წამოჭრილ ურთულეს პრობლემებს უნდა შეუხამონ. თუ ეროვნულმა სახელმწიფოებმა არ იზრუნეს თავიანთი თვითმყოფადობის, ეროვნული სულიერების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, თავიანთ დემოგრაფიულ პრობლემებზე, გლობალიზაცია ამაზე არ იფიქრებს. შეიძლება გაერთფეროვნების პირობებში უფრო უმტკივნეულოდაც მოხდეს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების საბოლოო დასრულება, რომელსაც ართულებს მრავალ ქვეყანაში და განსაკუთრებით ინდოეთსა და ჩინეთში მოსახლეობის გამრავლება, ეროვნული ნიშან-თვისებების შენარჩუნებისათვის ბრძოლა, სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობა. ერთფეროვნების დასადგურების შემდეგ ძნელია სხვა რამე ახლის დანახვა. ეს კი ეკონომიკური საერთო სიუხვის პირობებშიც კი, მეტად მოსაწყენს გახდის ადამიანთა ცხოვრებას თუ საერთოდ გადაგვარებით არ დაემუქრა მოაზროვნე ადამიანს. ამის გარკვეული ნიშნები უკვე შეინიშნება ადამიანთა ქცევისა და ცივილიზაციის შედეგად მოტანილი თავისუფლების არასწორ გაგებაში. ყველაფერ ამას ართულებს ის გარემოებაც, რომ დემოგრაფიული გადასვლა მეტად უთანაბროდ ხდება სხვადასხვა ქვეყანაში.**

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ დემოგრაფიული აფეთქების შედეგად, რომელიც ბევრ ქვეყანაში ახლაც გრძელდება, საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობა. მომავალში ბუნებასთან ნორმალური ურთიერთობა, ასეთი დიდი რაოდენობის მოსახლეობის პირობებში, კიდევ უფრო გაძნელდება. ადამიანთა მიერ მოხმარებული უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების აღდგენა თანდათანობით სულ უფრო გაჭირდება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება. როგორც ცალკეული ქვეყნების სამთავრობო დონეზე, ისე მსოფლიო მასშტაბით სერიოზული მცდელობის მიუხედავად მაინც გარდაუვალი იქნება ეკოლოგიური კატასტროფები. ასე რომ, როგორც აღნიშნავენ, საერთო მიზანი რჩება არა მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია, არამედ სტაბილიზაციის შემდეგ გარკვეულ დონემდე მისი ისეთი შემცირება, რომელიც სავსებით მისაღები იქნება ცალკეული ქვეყნებისათვის, საერთოდ ცივილიზებული სამყაროსათვის. მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ბუნებასა და ადამიანებს შორის ნორმალური



ურთიერთობისათვის მსოფლიო მოსახლეობა დაახლოებით 1,5 მილიარდს უნდა უდრიდეს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ თანამედროვე განათლებულ საზოგადოებაში მთავარი ყურადღება ექცევა შვილების აღზრდის ხარისხს და არა შვილების ყოლის რაოდენობრივ მხარეს. თავისთავად ეს იმასაც გულისხმობს, რომ ძირითადი ხდება ცხოვრების დონე, ცხოვრების ხარისხი. მომავალში ცხოვრების ხარისხის პრიორიტეტი გლობალური მასშტაბით საგრძნობლად გამოიკვეთება და გარდაუვალი გახდება. მანამდე კი საჭიროა მოსახლეობის არსებული რაოდენობრივი ბალანსის შენარჩუნება, ხოლო შემდეგ მოსახლეობის შემცირების კვალობაზე შესაბამისი რაოდენობრივი თანაფარდობის დაცვა როგორც ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნებს შიგნითაც. თუ როგორ მოახერხებენ ამას ცალკეული ქვეყნები, ამაზე იქნება დამოკიდებული მათი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. გლობალიზაციის პირობებში ყოველივე ეს ურთულესი საქმეა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა წელიწადში მილიონებით იმატებს, ხოლო ზოგიერთი ქვეყნისა კიდევ ასეულ ათასებით იკლებს. შესაბამისი გაანგარიშების მიხედვით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ახლანდელი ცხოვრების დონის შესანარჩუნებლად საჭიროა 20-25 წელიწადი და თითქმის 159 მილიონი მიგრანტის შეყვანა. ვარაუდი იმის შესახებ, რომ შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შედეგად ეს პრობლემა მოიხსნებოდა, არ გამართლდა. ამრიგად, ევროპის ქვეყნებში შედის სხვა კულტურა და სხვა რელიგია, რაც გარკვეული წინააღმდეგობებისა და მოსალოდნელი ეთნიკური კონფლიქტების წყარო ხდება. ამის გამოც ეს ქვეყნები აწესებენ მიგრანტთა გარკვეულ კვოტებს, მაგრამ ეს პრობლემებს ვერ ხსნის.

კვლავ მძიმე რჩება დემოგრაფიული ვითარება საქართველოშიც. საკმარისია ითქვას, რომ 2005 წელს ქვეყანაში დაიბადა 46 ათასი ბავშვი, მაშინ, როდესაც 1990 წლამდე საშუალოდ წელიწადში თითქმის 100 ათასი ბავშვი იბადებოდა. ამჟამად ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 1,3 ბავშვს აჩენს. თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონსაც ვერ მიაღწევს. ერთშვილიანი ოჯახების ზრდის კვალობაზე არა მარტო შობადობა მცირდება, არამედ საკმაოდ მყარი ნიადაგი ექმნება ჩვენი ეროვნული სულიერების მსხვრევას, ქართული სულიერი სამყაროს გადაგვარებას. ცხოვრება ლხინისა და ჭირის მონაცვლეობაა და ოჯახში ერთი შვილის ყოლის პირობებში ჩვენ მარტოსულს ვზრდით, მას არავინ ჰყავს ლხინისა და ჭირის გამზიარებელი ახლო ნათესავი, უჭირს ცხოვრების ტვირთის ზიდვა — პირადი ოჯახური პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად მოხუცი მშობლების მოვლა-პატრონობა. ქართული ტრადიციული ოჯახი, რომელიც არა მარტო რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებას გულისხმობს, არამედ იმ ურთიერთობებსაც, რომელმაც ქართველი ხალხის სულიერი სამყარო გაამდიდრა და ეროვნული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ნიშან-თვისებები შემოგვინახა, სულ უფრო კრიზისს განიცდის. შობადობის შემცირების პირობებში იზრდება დედისერთათა რიცხვი, და, მაშასადამე, იმ ადამიანების რაოდენობაც, რომლებსაც არ ჰყავთ დედმამიშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ზედმეტად ნათქვამი არ იქნება, რომ ამის შედეგად ისპობა ქართული სულიერი სამყარო, ჩვენი თვითმყოფადობა.

ამჟამად მოსახლეობის შემცირებას იწვევს როგორც დეპოპულაცია, ისე ინტენსიური გარემიგრაცია. ეს პროცესი პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ყველაზე მკვეთრად გამოიხატა საქართველოში. ამასთან, დემოგრაფიული პროცესები ბიოსოციალური ხასიათისაა და მას ინერციის დიდი ძალა აქვს. ამტომ შემდგომში მდგომარეობის გამოსწორებისათვის დიდი მატერიალურ-ფინანსური ღონისძიებებიც რომ განვახორციელოთ, საჭირო ეფექტს ვეღარ მივიღებთ. შეიძლება ქვეყანა ქართველი ერის გაუკაცრიელების პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს, თუ ახლავე გადაუდებელი ყურადღება არ მიექცა დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას, საჭირო სახსრების გამონახვას.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მკვეთრად დაირღვა ერთა თანაცხოვრების ტრადიციულად ჩამოყალიბებული რაოდენობრივი ბალანსი. მაგალითად, ლატვიაში სხვა ხალხების ინტენსიური გადასახლების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მკვიდრი ეროვნების წილი. თუ 1959 წელს ლატვიელები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 62 პროცენტს, 1989 წელს მათი წილი მხოლოდ 52 პროცენტს უდრიდა. ამავე პერიოდში ლატვიელთა რიცხვი თავიანთ რესპუბლიკაში 90 ათასით გაიზარდა, ხოლო სხვა, ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობისა — 573 ათასით. როდესაც კატასტროფიულად მცირდება მკვიდრი ერების წილი, საფრთხე ემუქრება მის ეროვნულ სახეს და აშკარა ხდება გადაგვარების რეალობა. სხვა ერი თავს გახვევს თავის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ ღირებულებებს. ამასთან, ცხადია, მკვიდრ და არამკვიდრ ერებს შორის რაოდენობრივი დისბალანსი აუცილებლად იწვევს დაძაბულობას ერებს შორის.

1989 წელს საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 44 ათას კაცს შეადგენდა. აქედან ქართველების ბუნებრივი მატება მხოლოდ 28,8 ათას კაცს უდრიდა. ლატვიაში მთელი ბუნებრივი მატების მხოლოდ 34 პროცენტი მოდიოდა ლატვიელებზე, ხოლო აზერბაიჯანელებისა და სომხებისათვის თავიანთ რესპუბლიკებში ეს მაჩვენებელი უაღრესად მაღალი იყო და, შესაბამისად, 97 და 95 პროცენტს უდრიდა. კიდევ უფრო მწვავედ იდგა ეს პრობლემა სოფლად. საქართველოს სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1989 წელს 18 681 კაცს შეადგენდა და აქედან მხოლოდ ნახევარი — 9 300 კაცი იყო ქართველი.

საქართველოს დემოგრაფიული უშიშროებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული ბალანსის შენარჩუნებასაც. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნისათვის ამ მხრივ ვითარება უარესობისკენ იცვლება.

ქართველ მოსახლეობაში შობადობის სისტემური შემცირების შედეგად ქართველთა წილი მნიშვნელოვნად შემცირდა სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში.

ქვეყანაში მკვიდრი მოსახლეობის პერმანენტული შემცირების და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს დიდად გაუჭირდება თავისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და საერთოდ ეროვნული ამოცანების განხორციელება, საფრთხე შეექმნება მის სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობასა და ერთიანობას, ადრინდელ მიმზიდველობას დაკარგავს ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი ხდება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი ერის გენოფონდის ცვლილება, ყოველივე ეს კი განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც საკმაოდ მრავალია ინტერესთა გადაკვეთის წერტილები და, ამდენად, გაძნელებული საკუთარი ინტერესების დაცვა.

თანამედროვე მიმოსვლისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მსოფლიო თითქოს დააპატარავა. გლობალიზაციის პროცესში თუ არ შენარჩუნდა ეროვნული ფასეულობები, ადამიანი დაპატარავდება, დაჩიავდება და მარადიული კითხვა ადამიანის არსის, რაობის და დანიშნულების შესახებ სულიერი და ზნეობრივი დაცემის სფეროში ჰპოვებს პასუხს. არაფერს არ ექნება ფასი, თუ გაქრება ეთნოსების ნიშან-თვისებების მატარებელი ადამიანები. ხოლო ჩვენ თუ სწორი გზა ვერ მოვნახეთ, თუ არ გავერთიანდით და ისევ მხოლოდ პარტიული კუთვნილების ტყვეობაში დავრჩით, თუ პირად კეთილდღეობას დავუქვემდებარეთ ჩვენი აზრები და მოქმედება, მაშინ ზედმეტია ფიქრი ეროვნული სახელმწიფოს აშენების, ქართული სულიერების დაცვისა და შენარჩუნების შესახებ.

**ანზორ თოთაძე,**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.**

**დასასრული, დასაწყისი იხ. „სრ" № 169-170.**

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

**უდავოა, რომ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო საჭირო და აუცილებელია დღეს, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინათ იყო. რუსეთმა თავდაპირველად ხომ სწორედ ღვინისა და „ბორჯომის“ გაყიდვის აკრძალვით შემოგვიტია და ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება**

## რას ვჭამთ, რას ვსვამთ?

# ალკოჰოლიან სასმელებს ამოწმებენ...

## ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა შეუქცევადი პროცესია

**უდავოა, რომ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო საჭირო და აუცილებელია დღეს, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინათ იყო. რუსეთმა თავდაპირველად ხომ სწორედ ღვინისა და „ბორჯომის“ გაყიდვის აკრძალვით შემოგვიტია და ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება. მიუხედავად ჩვენი მეწარმეების დიდი მცდელობისა, ალტერნატიული ბაზრები, რუსეთისას რომ შეცვლიდა, არც თუ ადვილი მოსაძიებელია. ამ აკრძალვებმა ჩვენს ეკონომიკას საკმაოზე მეტად ავნო, მაგრამ, უნდა ითქვას, გარკვეული სიკეთეც მოგვიტანა, რადგან, რაღა დასამალია და, მანამდე სუფთა ღვინოს ნაკლებად შეხვდებოდით ჩვენს ბაზარზეც კი.**

უპირველესად, საჭირო იყო კორუმპირებული შემმოწმებლები ჩამოცილებოდნენ ბიზნესს. როცა ეს განხორციელდა, შეიქმნა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური, თუმცა სამომხმარებლო ბაზარზე მისი აქტიურობა კარგა ხანს ნაკლებად შესამჩნევი იყო. მაშ, რისთვის შეიქმნა ეს სამსახური, — ხშირად ისმოდა კითხვა. ჩვენმა გაზეთმა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი წერილი გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ უპირველესად, შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, შემდეგ ეტაპზე, ტენდერის შედეგების მიხედვით, შეირჩა ლაბორატორიები, ასე რომ, თითქმის ორი წე-



ლი მოსამზადებელ სამუშაოებს დაეთმო. პარალელურად პარლამენტმა მიიღო კანონი და აღნიშნულ სამსახურს... თითქმის შექმნის დღიდან ერთი წლით შეუჩერეს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შემოწმების უფლება (?!ძ

ის იყო, აღნიშნული სამსახურს უნდა დაეწყო შემოწმებები და პროდუქციის ხარისხის კონტროლი, რომ პარლამენტში კვლავ შევიდა ერთი ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომლის თანახმად აღნიშნული სამსახურის 2010 წლის 1 იანვრამდე კვლავ აეკრძალა ინსპექტირების, ანუ სახელმწიფო გეგმიური კონტროლის ჩატარება და მონიტორინგის საშუალებით უხარისხო პროდუქციის გამოვლენის უფლება მიეცა. დღეისათვის კანონი უკვე ძალაშია შესული.

ასეა თუ ისე, რომ იტყვიან, ყინული გალღვა და ეროვნული სამსახურის მუშაკები უფლებამოსილების ფარგლებში იწყებენ თავისი უშუალო მოვალეობის შესრულებას.

დღეისათვის დაწყებულია და გრძელდება „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევის“ პროგრამის ფარგლებში ჩამოსასხმელი, ქარხნული და გლეხური წარმოების ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშების აღება.

აგვისტოს მიწურულს ეროვნული სამსახურის სპეციალისტებმა, თბილისის სამ სხვადასხვა სარეალიზაციო ქსელში შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მუშაკებთან ერთად 16 დასახელების ალკოჰოლიანი, მათ შორის სპირტიანი (არყის, სპირტის, კონიაკისძ სასმელების ნიმუშები აიღეს. შესყიდული ნიმუშები შემოწმებისათვის აკრედიტირებულ ლაბორატორიას გადაეცა. მიღებული შედეგების საფუძველზე ეროვნული სამსახური მომზადებულ დასკვნებს შემოსავლების სამსახურს გადაუგზავნის.

— წლის დამლევამდე 1400-მდე დასახელების ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის აღებაა დაგეგმილი, — თქვა საუბრისას სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სურსათის უვნებლობისა და ზედამხედველობის სამმართველოს ახლად დანიშნულმა უფროსმა თენგიზ კალანდაძემ, — მართალია გეგმიური კონტროლის, ანუ ინსპექტირების უფლება შეგვიჩერდა, მაგრამ არც მონიტორინგია უბრალო საქმე. თუმცა სურსათის დამზადების ადგილის შემოწმების უფლებაც არა გვაქვს, ისღა შეგვიძლია, რომ სამომხმარებლო ბაზარში გასაყიდად გამოტანილი პროდუქტების ნიმუშები ავიღოთ და შევამოწმოთ. თუ განსაკუთრებული შემთხვევაა, ხელთ უნდა გვქონდეს სასამართლო გადაწყვეტილებაც.

**— ბატონო თენგიზ, „განსაკუთრებულ შემთხვევაში“ რა იგულისხმება?**

— კანონში ეს, ჯერჯერობით, მითითებული არ არის, შემოწმებებს ისე ვიწყებთ, როგორც კანონმა მიგვითითა. ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ თუ რაიმე დარღვევა აღმოჩნდა, შემდგომი რეაგირებისათვის მასალები შემოსავლების სამსახურს გადაეცემა, აგრეთვე ჩვენი მოვალეობაა მოსახლეობის ინფორმირება, ანუ არ უნდა დავუმალოთ მოსახლეობას, თუ რომელი სურსათია უხეირო. წლის მიწურულამდე სხვადასხვა დასახელების 2500-მდე საანალიზო ნიმუში უნდა ავიღოთ.

**— პროგრამა როგორ ფინანსდება?**

— სახსრებს ბიუჯეტიდან ვიღებთ, 500 ათასი ლარია გამოყოფილი ნიმუშების შესყიდვისა და ლაბორატორიული კვლევებისათვის. მოგეხსენებათ, ლაბორატორიები კერძოა, ტენდერის საშუალებით გამოვლენილი.

**— ამ დროისთვის რამდენი ნიმუშია აღებული?**

— დღეისათვის 144 დასახელების ღვინისა და 5 დასახელების არყის ნიმუში შევისყიდეთ, აქედან 23 — საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის თელავში, რუსთავში, გორში, ხაშურში, მარნეულში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

**— იქნებ კვლევის შედეგი გაგვაცნოთ...**

— ლაბორატორიული კვლევის მიხედვით, თბილისში აღებულ 46 დასახელების ნიმუშიდან 14 შემთხვევაში ღვინოები წარმოების წესების დარღვევით დამზადებულად ჩაითვალა და შესაბამისი მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა. 9 რეალიზატორს ღვინის გაყიდვა აეკრძალა. ასევე, რაიონებში აღებული 23 დასახელების ნიმუშიდან 11 შემთხვევაში ღვინოები ასევე წარმოების წესების დარღვევით დამზადებულად ჩაითვალა, მასალები კი შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა, ორ რეალიზატორს აეკრძალა ღვინის გაყიდვა, ხოლო ერთ შემთხვევაში ღვინო ჩაითვალა ფალსიფიცირებულად და ჯანმრთელობისთვის მავნედ, რის გამოც ეროვნულმა სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე სურსათის (ამ შემთხვევაში — ღვინისძ განადგურების შესახებ. ეს ამ პროგრამის პირველი ეტაპია, შემოწმებას ყველა სახეობის პროდუქცია დაექვემდებარება.



ასე რომ, რაც მთავარია, დაიწყო სურსათის ხარისხისა და უვნებლობისთვის ბრძოლა, რაც უდავოდ მიგვიყვანს იმ მდგომარეობამდე, რომ თანდათან შემცირდება და საბოლოოდ, ალბათ, აღმოიფხვრება ფალსიფიცირება. მომხმარებლის ჯანმრთელობას სავაჭრო ობიექტში შეძენილ პროდუქტიდან საფრთხე ნამდვილად არ უნდა ემუქრებოდეს.

სამსახურის უფროსის სიტყვებს, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით და ამავე დროს მივესალმებით მის ძალისხმევას და ნებას ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს, ანუ შემოწმების ციკლი, ექსპორტის შემცირებას შეუწყობს ხელს.

თუ ჩვენი ქვეყანა ევროსტანდარტებისკენ მიისწრაფვის (და რომ მიისწრაფვის ეს ყველასათვის ნათელიაძ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნებისმიერი პროდუქტი მათი მოთხოვნილების შესაბამისი უნდა იყოს, რათა ევროპის ბაზრებზე დაუშვან და, შესაბამისად, მომხმარებელმა, რომელსაც ისედაც არჩევანის დიდი შესაძლებლობა აქვს, ის აირჩიოს. რა თქმა უნდა, არც ერთი ევროპული ქვეყანა არ იყიდის ჩვენს პროდუქციას, რომლის ვარგისიანობა იოტისოდენა ეჭვს მაინც იწვევს.

პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შემოწმებას და ნიმუშების აღებას სავაჭრო, სარეალიზაციო ობიექტებში კი არ დავიწყებთ, არამედ სწორედ იქიდან, სადაც ესა თუ ის პროდუქტი იქმნება. ამ მხრივ, ევროპელი მაკონტროლებლებისთვის საინტერესოა საწარმოს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაგრძელდეს შემოწმება პროდუქტების სარეალიზაციო ადგილებში. ნებისმიერი მონაცემი ასახული უნდა იყოს ეტიკეტზე. ასეა ყველა ევროპულ ქვეყანაში და ასე უნდა იყოს, — ყოველ მიზეზგარეშე! — ჩვენთანაც.

**რედაქციისაგან: ჩვენ ყოველივე ზემოაღნიშნულის სისწორეში დარწმუნებული ვართ, მაგრამ საინტერესოა, თქვენ რას ფიქრობთ, პატივცემულო მომხმარებლებო, მწარმოებლებო, შემმოწმებლებო? მოგვწერეთ თქვენი აზრი, თქვენი შეხედულებები, რომელთა გათვალისწინება, დარწმუნებული ვართ, საქმეს წაადგება.**

**ამიტომ, გამოგვეხმაურეთ!**

**ნაზი იმნაიშვილი**

## ინფორმაცია

### „სტრასბურგის სასამართლოს იმედით?“

**„ლეიბორისტული პარტიის“ სარჩელის სტრასბურგის სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით საპარლამენტო ოპოზიციაშიც და უმრავლესობაშიც ერთნაირი მოლოდინი აქვთ. ამასთან, დეპუტატები თავიანთ დამოკიდებულებას სხვადასხვა ახსნას უძებნიან.**

როგორც „კონსერვატორმა“ ბიძინა გუჯაბიძემ განაცხადა, ევროსტრუქტურები ყოველთვის თვალს ხუჭავენ საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო ფაქტებზედა, სავარაუდოდ, ამ ეტაპზეც მსგავსი რამ მოხდება.

ამის მაგალითად გუჯაბიძე იმ ფაქტს ასახელებს, რომ სანდრო გირგვლიანის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და ამირან რობაქიძის მკვლელობებზე ევროსტრუქტურებიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, მათი აზრით, საეჭვოა, რომ შალვა ნათელაშვილმა სტრასბურგში სარჩელი მოიგოს და 2003-2004 წლების საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ბათილად გამოცხადდეს.

როგორც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, ამ არჩევნების შედეგები აღიარებულია, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ისე საერთაშორისო სტრუქტურების მიერ.

შეგახსენებთ, რომ სარჩელის განხილვა სტრასბურგში გუშინ დაიწყო. მოპასუხე მხარეს ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები წარმოადგენენ.

### ბიზნეს-ფორუმი გადაიდო

**თბილისში 10 სექტემბრისთვის დაგეგმილი ქართულ-რუმინული ბიზნეს-ფორუმი აღარ გაიმართება.**

ამის შესახებ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან იტყობინებიან.

მათივე ინფორმაციით, ფორუმის ჩაშლის მიზეზი საქართველოში რუმინეთის პრეზიდენტის ტრაიან ბისესკუს ვიზიტის გადადებაა. ბისესკუ თბილისში 10 სექტემბერს უნდა ჩამოსულიყო. ვიზიტის გადადების მიზეზები უცნობია.

ამასთან, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დანიასა და ფინეთში ვიზიტის ფარგლებში, ბიზნეს-ფორუმები 8-10 ოქტომბერს — დანიაში, ხოლო 10-12 ოქტომბერს ფინეთში გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

# სენსაცია!

● როცა ეპიტაფია არსებობს, უკვე საეჭვო აღარ არის, ვის ეკუთვნის საფლავი

◉ მზეო მეფეო, აღგვიდგინე საქართველო!

# „უშრეტი ენგადი ქართველთა

**საუბარი ოთხ რესპონდენტთან, რომლებსაც ინტერვიუერთან ერთად ღრმად სწამთ, სამი კი მეცნიერულადაც ამტკიცებს, რომ თამარ მეფის სამუდამო განსასვენებელი გელათის მონასტერშია**

**ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დირექტორის ნუკრი კვარაცხელიას კაბინეტში ხუთნი ვსხედვართ: თავად მასპინძელი, მისი მოადგილე გივი ტყეშელაშვილი, მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგე დავით ბერძენიშვილი, არქიტექტორი შადიმან ყიფშიძე და ამ სტრიქონების ავტორი, უფრო ზუსტად, შეხვედრის დროს გამოთქმულ მოსაზრებათა ფურცელზე გადამტანი.**

საუბრის ძირითადი თემა „კარგად დავიწყებული ძველია“ – თამარის საფლავი. და მახსენდება ამონარიდი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „დალი“: „გვყავს სამი დედა: წმ. ნინო, მეფე თამარ, დედოფალი ქეთევან... ამ სამის ერთობის მუხლშია მოქცეული უშრეტი ენგადი ქართველთა ყოფისა“.

სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, „დედა არ გვახსოვს შვილებსა“. არ გვახსოვს, თორემ ის უმძიმესი განსაცდელი, რომელშიც დღეს სრულიად საქართველო, განსაკუთრებით კი ქუთაისი იმყოფება, კარგა ხნის დაძლეული გვექნებოდა.

რა განსაცდელზეა საუბარი?

ქუთაისი დღეს მკვდარი ქალაქია და, ისტორიის გარდა, თითქმის აღარაფერი შერჩა. დიდი ხანია გადაივიწყა მსოფლიოში სახელგანთქმული ქუთაისური აბრეშუმის ქსოვა, ტრაქტორმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, მინისა და ბროლის წარმოება, გადამამუშავებელი მრეწველობის სიკეთე. მძვინვარებს მასობრივი უმუშევრობა და ხვალინდელი დღის შიში.

– მოსახლეობის ბოლო აღწერისას ჩვენს ქალაქში 250 ათასი კაცი ცხოვრობდა, დღეს კი ეს რიცხვი 120 ათასამდეა შემცირებული, – უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავს შადიმან ყიფშიძე.

ვინ შეიძლება აღადგინოს მკვდარი ქალაქი?

პასუხი ერთადერთია: უნდა აღადგინოს „უშრეტმა ენგადმა ქართველთა ყოფისა“ – დედამ.

დიახ, დედამ! იმ დედამ, რომელსაც შვილები აღარასდროს დაივიწყებენ.

* * *

საუბრის დასაწყისი 18 წლის წინანდელის გახსენებაა. 1989 წლის 14 მაისს, თამარობის დღეს, გაზეთმა „ქუთაისმა“ გამოაქვეყნა ცნობილი მეცნიერის, პროფესორ მიხეილ ალავიძის სტატია – „მეფეთა მეფის საფლავი: ლეგენდები და სინამდვილე“. ამ პუბლიკაციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ **„თამარ მეფის ნეშტი გელათის მიწას შეუერთდა“.**

პუბლიკაციის ავტორიც სწორედ ამ აზრს იზიარებდა, მაგრამ ითვალისწინებდა, რომ თვითონ ისტორიკოსი კი არა, ფილოლოგი იყო და მკითხველს მისთვის ჩვეული მიუკერძოებლობით აცნობდა იმათ შეხედულებებსაც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ თამარ მეფე იერუსალიმში გადაასვენეს და ჯვრის მონასტერში დაკრძალეს.

იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, პირადად მე ორჯერ ვარ ნამყოფი – 1990 და 1995 წლებში და ორივეჯერ მეც და ჩემს თანამგზავრებსაც დაგვეჯითებით გვიმტკიცებდნენ, რომ მეფეთა მეფე თამარი და მისი მამიდა რუსუდანი სწორედ აქ განისვენებენო, მაგრამ იერუსალიმის ჰიპოთეზა ჩემთვისაც, არასპეციალისტისთვისაც კი მაშინვე აშკარად დაუჯერებლად ჩანდა. მით უმეტეს, რომ სულგანათლებულ მიხეილ ალავიძის სტატიაში ისეთი შეუვალობით იყო გახსნილი გელათის მონასტრის საიდუმლო, რომ არა თუ ჯვრის მონასტრის, არამედ ათობით სხვა ჰიპოთეზასაც საფუძველს ფაქტობრივად აღარ უტოვებდა, ამან გადამაწყვეტინა, რომ 13 წლის შემდეგ – 2002 წლის მაისში ჩემი რედაქტორობით გამომავალ მეორე გაზეთში – „სარკმელი საქართველოსი“ გადაგვებეჭდა მხცოვანი მეცნიერის სტატია, რამეთუ ვგრძნობდი, რომ 1989 წლის ცნობილი მოვლენებით გამოწვეული უმძლავრესი ეროვნული მუხტი ფაქტობრივად უკვე მთლიანად დაცლილი იყო და თვალნათლივი გახდა საზოგადოებისათვის „უშრეტი ენგადის“ ისევ და ისევ შეხსენების აუცილებლობა.

* * *

**– რას გვეტყოდით იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი თაოსნობით ისევ გაიხსენეს „კარგად დავიწყებული ძველი“ – თამარ მეფის საფლავის საიდუმლო? –** მივმართავ გივი ტყეშელაშვილს, რადგან მისმა ინტერვიუმ, რომელიც ტელეკომპანია „მზიმ“ გადაიცა, უკვე ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

– უპირველეს ყოვლისა იმით დავიწყებ, რომ ეს თემა საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ერთხელ გაახსენდათ – 1966 წელს, რუსთველის იუბილის დღეებში. მაშინ გელათში შეიკრიბნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები – სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ლეონიძე და სხვები. მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომელსაც თავის პუბლიკაციაში მიხეილ ალავიძეც მოიხსენიებს და დღეს დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა აქვს: **თამარი აქ, გელათის მონასტერშია და სხვაგან არ უნდა ვეძებოთ!**

აქვე წამოიჭრა საკითხი, არქეოლოგიურად შესწავლილიყო თამარის ეკვდერი, მაგრამ გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი და ამ მხრივ არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

მე დიდხანს ვსწავლობდი გელათის მონასტრის არქივს. წიგნიც დავსტამბე გელათის საგანძურის შესახებ და თავად დავრწმუნდი, რომ არის ბევრი დამატებითი მასალა, მათ შორის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლებიც დღემდე საერთოდ უცნობი ან სათანადოდ შეუსწავლელია. აი, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნის მასალები.

ჩვენი მუზეუმი დიდი ხანია ცდილობდა, მკვდარი წერტილიდან დაეძრა ამ საკითხის შესწავლა და ნაბიჯები უშუალოდ არქეოლოგიური ძიებისაკენ წარემართა. სათანადო პროექტებიც შევიტანეთ ქალაქის კულტურის სამსახურში, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ.

რატომ არ გამოჰყვეს ეს თანხა?

მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით, რომ გელათი და გელათის მონასტერი ქალაქს არ ეკუთვნისო.

– ტყიბულის რაიონში შედის.

– სიტყვა ჩაურთო ნუკრი კვარაცხელიამ.

– ვერ გავიტანეთ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ახლახან მირჩიეს, პრეზიდენტის რწმუნებულს აკაკი ბობოხიძეს მიმართე, ტელევიზიაში მისი გამოსვლით შევიტყვეთ, რომ დაინტერესებულია და კულტურის სამინისტროც ჩაუყენებია საქმის კურსში...

მას შემდეგ საქმე წინ წავიდა და ამჟამად ჩემგან დამატებით არგუმენტებს თხოულობენ.



**მეფეთა მეფე თამარი (პროფესორ გივი მიზანდარის ფერადი ქანდაკებაძ**

მათი წარდგენით, ალბათ, ამ საკითხს ისეთი რეზონანსი მოჰყვება, რომ არქეოლოგიური სამუშაოები ხვალიდან კი არა, შეიძლება დღეიდანაც დაიწყონ. ამას ხუმრობის გარეშე ვამბობ.

**– თუ საიდუმლო არ არის, რომელ დოკუმენტებზეა საუბარი?**

– როგორც უკვე მოგახსენეთ, მრავალთა შორის არის მე-19 საუკუნის დასაწყისის დოკუმენტები, რომელთაგან ერთი ნაწილი თბილისშია – ხელნაწერთა ინსტიტუტში, ორი დოკუმენტი კი ჩვენთან – მუზეუმში. ისინი უშუალოდ მიუთითებენ საფლავის ეპიტაფიაზე. ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც სასულიერო კრებულშია მოთავსებული, 1816 წელს გადაუწერია ბესიკ გაბაშვილის ძმას – ოსეს. იგი ცნობილი კალიგრაფისტი, ამასთან გელათის მონასტრის ბერი გახლდათ. 9 წლის შემდეგ – 1825 წელს კავკასიის ხაზის სარდალი, გენერალი გორჩაკოვი რუსეთის იმპერატორსატყობინებდა ამავე ეპიტაფიის არსებობას.

შემთხვევითი არ არის ამგვარი შეტყობინება. რომანოვების სახლი ყოველთვის ამაყობდა ბაგრატიონებთან უახლოესი კავშირით და საქართველოს სამეფო კარის თითოეული წვრილმანი აინტერესებდა.

ძალზე საყურადღებოა XX საუკუნის დასაწყისში შედგენილი გელათის ნეკროპოლის აღწერაც. მასში ნათქვამია, რომ შიშითა მაჰმადიანთა ეპიტაფია დამალულია ეპიძალის – ცრუ ფიძალის ქვეშ.

ბატონი დავითი არქეოლოგია და, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ, როცა ეპიტაფია არსებობს, უკვე საეჭვო აღარ არის, ვის ეკუთვნის საფლავი.

– დიახ, ამაში სადავო აღარაფერია, – ბრძანებს დავით ბერძენიშვილი, – ფიძალის აღებითა და ეპიტაფიის ნახვით ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცდება, რასაც უკვე დიდი ხანია კატეგორიულად აცხადებენ ის მეცნიერები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თამარი გელათშია. ეს მით უფრო სათქმელია, რომ, როგორც დასტურდება, ყოველი თამარობისას ხდებოდა მისი წმინდა ნაწილების ამოსვენება და ხალხისთვის ჩვენება. ამის უტყუარობას ადასტურებენ იქ მოღვაწე ბერებიც, რომლებიც მკრეხელობას არ ჩაიდენდნენ და ფალსიფიცირებას არავითარ

◉ პალესტინა, პალესტინა

## ხმა თეთრ სენაკში

(ნაწყვეტიძ

*„ – თამარ, გოდებავ*
*უნაპირო და უსასრულო,*
*თამარ, ღვთაებავ,*
*თამარ, მზეო,*
*მზეო ჩასულო!*
*იქნებ, არც იყავ*
*მზე ნამდვილი,*
*ღმერთი ნამდვილი,*
*იქნებ, ხმა იყავ სულის*
*წეწვის,*
*გულის ფრიალის...*
*მე იქ გავთავდი,*
*სადაც ჩაქრა*
*შენი სანთელი,*
*შენს გარდასახვას*
*ნიჟიც წაჰყვა*
*ჩემის ტრფიალის.*
*...დავკარგავ საფლავს,*
*მეც შენგვარად*
*მოვკვდები, თამარ!*
*დე, გზამ იაროს,*
*დე, თაობას*
*მოჰყვეს თაობა;*
*დავკარგავ საფლავს,*
*მეც შენგვარად*
*გავქრები, თამარ!*
*საფლავიც ჩემიც*
*იყოს ჩემი*
*უსაფლავობა...*
*თამარ, გოდებავ*
*უნაპირო და უსასრულო,*
*თამარ ღვთაებავ,*
*თამარ, მზეო,*
*მზეო ჩასულო!“*

**ირაკლი აბაშიძე**



**იერუსალიმი, ჯვრის მონასტერი**

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 171. ოთხშაბათი. 5 სექტემბერი. 2007 წელი.

# სენსაცია!

● ბოლოსდაბოლოს პარიზის ლაბორატორიაში ასობით საუკუნის წინათ მცხოვრები ზეზვას და მზიას ასაკი დადგინდა და 8 საუკუნის წინანდელის გამოკვლევა რატომ გაჭირდება?

## „ყოფისა", ანუ დედა, რომელსაც შვილები არასოდეს დაივიწყებენ

### ◎ მზეო მეფეო, აღგვიძგინე საქართველო!



გელათი

შემთხვევაში არ დაუშვებდნენ. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ მაშინ მძლავრობდა ხალხური გადმოცემები ოქროს კუბოებზე; ვარძიაში, ტაო-კლარჯეთში, ფშავში, სვანეთში თამარის დაკრძალვაზე.

გახსოვთ, ვაჟა-ფშაველასაც აქვს მშვენიერი წერილი?!

**— იერუსალიმის შესახებ რა შეიძლება ითქვას?**

— იმ პერიოდში, რომლის შესახებაც ახლაა საუბარი, ფრანგი რაინდის გი დებუს წერილი ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. იგი 20-იან წლებში დაბეჭდა ავალიშვილმა. სარგის კაკაბაძემ განაგრძო ამ მხრივ კვლევა და დაეთანხმა იმ აზრს, რომ თითქოს ლაშა გიორგიმ დედის ცხედარი იერუსალიმში გადაასვენა.

— ეს მოსაზრება მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ ლაშა გიორგის კიდევაც რომ ჰქონოდა სურვილი, ამას ვერ მოახერხებდა, რადგან უმძიმეს პირობებში მოუხდა ცხოვრება და მეფობა, — ბრძანებს ნუკრი კვარაცხელია. — იგი დაიჭრა მოწამლული ისრით, იავადმყოფა და ამა-



ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთ-ერთი ფრიად საყურადღებო ექსპონატი — სოლომონ პირველის საბრძოლო დროშა.

ვე მიზეზით გარდაიცვალა. ისიც სათქმელია, რომ თუ გადასვენება მოხდებოდა, ამ ცნობას აუცილებლად მოიხსენიებდა ლაშა გიორგის მემატიანე.

— რასაკვირველია.

— ერთიც აუცილებლად სათქმელია: რატომ უნდა ვენდოთ მაინცდამაინც ფრანგი რაინდის იმ წერილს, რომელიც ბენზანსონის არქიეპისკოპოსს მისწერა და არ უნდა ვენდოთ თამარისა და ლაშა გიორგის მემატიანეებს? — არც თუ უსაფუძვლოდ კითხულობს დავით ბერძენიშვილი.

— ერთი რამ კიდევ შეიძლება დავამატოთ ბატონი დავითის არგუმენტს.

1618 წელს, როცა მეფე თეიმურაზმა ქურმულოს ეპისკოპოსი ოფიციალურად მიავლინა რუსეთის იმპერატორთან, რათა შაჰ-აბასის წინააღმდეგ დახმარება ეთხოვა, მას ჰკითხეს: **ამჟამად სად იმყოფება მეფე თეიმურაზიო.**

— **მეფე თეიმურაზი იმერეთშია, იქ, სადაც თამარ მეფეა დაკრძალულიო,** — იყო მისი პასუხი, რამეთუ იმ დროს იმპერატორის კარისათვის იმერეთი გაცილებით ნაკლებად გახლდათ ცნობილი, ვიდრე მეფეთა მეფე თამარი.

ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს მარი ბროსეს წიგნში „ქართველ მეფეთა მიმოწერა რუსებთან".

მეფეთა მეფე თამარი რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებში ძალზე პოპულარული პიროვნება იყო, ამას კიდევ ერთიც ადასტურებს: 1552 წელს ალყაშემორტყმული ყაზანის ბოლო შტურმის დაწყების წინ გამოტანილი ჰქონდათ ყაზანის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ივერიის ხატის ასლი გახლდათ. ივანე მრისხანემ ლაშქარი სწორედ ამ ხატზე დააფიცა, თან განუმარტა, რომ ეს ის ხატია, რომლითაც სახელგანთქმულმა ივერიის დედოფალმა თამარმა ურჯულოები დაამარცხაო (მხედველობაში ჰქონდა ბასიანის ბრძოლა. — **ავტ.**ძ.

— ამასვე ამტკიცებს ათობით სხვა დოკუმენტი, რამეთუ იმერეთის ხსენება თავისთავად გულისხმობდა გელათსა და თამარს. ამის შესახებ თქვენი რედაქტორობით გამოცემულ გაზეთებში მშვენიერი მასალები აქვს წარმოდგენილი სულგანათლებულ მიხეილ ალავიძეს. — განაგრძობს გივი ტყეშელაშვილი. — ეპიფანე გაბუნიას და სხვებს, რომლებიც უკვე გაუქმებული მონასტრიდან იყვნენ, ახსოვდათ და აღწერდნენ თამარობის ყველა დეტალს... ჩვენს მუზეუმში დაცულია კიდევ ერთი ძალზე საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც კვლავ და კვლავ ხაზს უსვამს ამ საყურადღებო ტრადიციის აღდგენის მცდელობას. არქიმანდრიტი ნესტორი 1920 წელს სთხოვს მიტროპოლიტ ნაზარს, გამოუყოს სანთლის ქარხნიდან 7 ათასი მანეთი (ამ დროს ფული უკვე დევალვირებულია. — **ავტ.**ძ, რათა თამარობა სათანადო პატივით აღინიშნოს.

**— ბატონო დავით, თქვენ ძალიან დიდი გამოცდილების არქეოლოგი ბრძანდებით.** — მივმართავ დავით ბერძენიშვილს, — **რამდენადაც გამიგია, მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული, ვიდრე მონღოლებამდე, მიცვალებულისათვის რაიმეს ჩატანება მკრეხელობა იყო. კუბოც კი არ არსებობდაო.**

— დიახ, არ არსებობდა.

**— ცნობილია ხალხური ეპიტაფიაც. მასში ჩამოთვლილია, რა გააკეთა მეფეთა მეფე თამარმა და ამდენი საქმის მოქმედმა ცხრა ადლი ტილო წაიღეო. ესე იგი, ხალხის რწმენით, 9 ადლი ტილოთი განისვენებდა მეფეთა მეფეც, რადგან სიკვდილი, როგორც რუსთველი ბრძანებს, ყველას ათანასწორებს.**

**რისი ნახვაა მოსალოდნელი თამარის საფლავის გათხრისას?**

— წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ერთი ან ორი ნივთი მაინცაა ჩატანებული...

ქრისტიანისათვის მთავარია იფიქროს სულზე და არა ხორცზე.

რაც სამარხებში ძვირფასია აღმოჩენილი — უმნიშვნელოვანესი ნივთები — ყველაფერი ეს წარმართული ხანისაა. სამეფო კარიც არ დაუშვებდა მკრეხელობას, რომ დაკრძალვა კრძალვით კი არა, ზარ-ზეიმით მომხდარიყო. თუმცა, ისევ ვიმეორებ, რომ არ არის გამორიცხული, ერთი-ორი ნივთი მაინც იყოს ჩატანებული — სასანთლე ან რაიმე სხვა.

**— და ერთიც... ამ კითხვით, ფაქტობრივად, ყველას მოგმართავთ... დღეს ისე ყოველდღიური გახდა ტერმინი დნმ—ი, რომ ძალაუნებურად იბადება კითხვა: თუ აღმოვაჩენთ მეფეთა მეფის საფლავს, შევძლებთ თუ არა, შეუმცდარად დავამტკიცოთ, რომ ჭეშმარიტად თამარ მეფის წმიდა ნაწილებს მივაკვლიეთ?**

**ნუკრი კვარაცხელია:** ამის შესაძლებლობა არსებობს. სო-



გელათში გადაღებულ ამ ფოტოზე ფოტოკორესპონდენტმა თამაზ ქიქავამ 1989 წელს, ოქტომბერში, საქართველოში უკანასკნელი მეფის — სოლომონ მეორის ტრაპიზუნდიდან გადმოსვენება აღბეჭდა.

უამრავი ხალხი ესწრებოდა ამ ცერემონიას, ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა რეზონანსი ექნება თამარ მეფის წმიდა ნაწილების აღმოჩენას.

ლომონ მეორე გვიანდელი მეფეა, მაგრამ აქვეა დავით ნარინის, თამარის მამის — გიორგის, დემეტრესა და სხვათა საფლავები.

— გენეტიკური კოდის დადგენა არა მარტო არქეოლოგიური, არამედ ისტორიული ძიებითაც შეიძლება. ამას აღვნიშნავ იმის გამო, რომ მრავალძალის ეკლესიაში ხატში იყო თამარის თმები. ეს დასტურდება ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით. ამ ხატში ჩასვენებულიაო თამარის თმები! — განმარტავს გივი ტყეშელაშვილი.

**— ეს უკვე დნმ-სათვის, ალბათ, სრულიად საკმარისი იქნება.**

— დიახ, ასე ვფიქრობთ... ეს ხატი ამჟამად თბილისშია. მისი საშუალებით გენეტიკური კოდის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

არც სქესისა და ასაკობრივი მონაცემის დადგენაა ძნელი. პრაქტიკაში დანერგილი C-14 წლოვანებას ზუსტად განსაზღვრავს. ბოლოსდაბოლოს პარიზის ლაბორატორიაში ასობით საუკუნის წინათ მცხოვრები ზეზვას და მზიას ასაკი დადგინდა და 8 საუკუნის წინანდელის გამოკვლევა რატომ გაჭირდება?

**შალიკო ყიფშიძე:** სახელმწიფომ არქეოლოგიური გათხრებისა და კვლევის ბოლომდე მიყვანისათვის აუცილებლად უნდა გამოყოს ფული, უკუგება უსაზღვროდ დიდი იქნება როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ეკონომიკური, ტურისტული და, რაც ყველაზე მთავარია, ეროვნული იდეოლოგიის თვალსაზრისით. ამოძრავდება ინფრასტრუქტურა და ჩვენი მკვდარი ქალაქის ფენიქსისებრი აღდგენისათვის ესეც განვითარების ერთ-ერთი სეგმენტი გახდება.

* * *

იდეოლოგიას, მით უფრო ჭეშმარიტ ეროვნულ იდეოლოგიას თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ეს თვალნათლივ გამოჩნდა 2 ათეული საუკუნის წინათ მოსახლეობააყრილი, ნაცარტუტად, შემდეგ კი უდაბნოდ ქცეული და თითქმის ყველასაგან გადავიწყებული, დღეს კი საოცრად აყვავებული ქვეყნის — ისრაელის მაგალითზე.

რატომ ვამახვილებთ ამაზე ყურადღებას?

საქართველოს აქვს ყველა შესაძლებლობა, გახდეს ნამდვილად დიდი, თუ მსოფლიოში გაბნეული ქართული სისხლის თითოეული წვეთის შეგროვებაზე ისეთივე რუდუნებით იზრუნებს, როგორც ეს ისრაელმა მისი ყველაზე თვალსაჩინო იდეოლოგის — თეოდორ ჰერცლის მოძღვრებისადმი ერთგულებით მოახერხა. მაშინ კვლავ ბედნიერი გახდება კარდუ, რამეთუ, როგორც გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა, **„ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ „ღმერთთა დაბნელება", მზე მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპირობებით, აღვივებენ თავიანთი ქმედებით ძალას ღვთიურისა მოწოლილი ბნელისა და ქაოტურის წინააღმდეგ".**

მეფეთა მეფე თამარი ყოველთვის იყო „ძლიერი ენგადი ქართველთა ყოფისა" და ღმერთმა ინებოს, მალე მივაგნოთ მის წმიდა ნაწილებს, რათა დავძლიოთ სიბნელის ეპოქა და „მზე მეფე" — თამარის სახელმა ქვეყნის სასიკეთოდ განაძლიეროს ქუთაისიდან დაძრული ახალი ტალღა.

**ალექსანდრე შენგელია,**
„სრ" საკ. კორ.
ქუთაისი-თბილისი.

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

# შესწორები პრესა

● პუტინის მთავრობამ სცადა შეძლებისდაგვარი წვლილი შეეტანა ამ საქმეში, შეუკვეთა ახალი სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორებიც უკვე სხვაგვარად აფასებენ იოსებ სტალინის ფიგურას, ერთ-ერთ ოფიციალურად მოწონებულ სახელმძღვანელოში კი სტალინი „ყველაზე წარმატებულ საბჭოთა ლიდერად“ არის მოხსენიებული



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## პუტინი და სტალინი: წარსულის გადასინჯვა

**მრავალ ქვეყანაში შეუძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება, მაგრამ წარსული არ იცვლება. რუსეთში კი ყველაფერი პირიქით ხდება.**

როცა რუსეთში ავტორიტარიზმის აღდგენით დაკავებულ პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს (ამ ქვეყანამ თითქმის არ იცის მმართველობის სხვა ფორმა) გამოუჩნდება თავისუფალი დრო, იგი იწყებს ისტორიის გადაწერას თავის ყაიდაზე. ამ ადამიანმა თავის დროზე გაითქვა სახელი, როცა გააკეთა განცხადება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა „იყო ასწლეულის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“. ალბათ, ეს უარესი იყო, ვიდრე პირველი მსოფლიო ომი, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი და თვით საბჭოთა კავშირის შექმნაც კი.

შარშან პრეზიდენტმა ისტორიის მასწავლებელთა ჯგუფს განუცხადა, რომ რუსეთს „არაფერი აქვს სამარცხვინო“ და, მათი ამოცანაა ყველაფერი იღონონ იმისთვის, რომ მოსწავლეები „სიამაყის გრძნობით აღივსონ თავიანთი სამშობლოს გამო“. პუტინის მთავრობამ სცადა შეძლებისდაგვარი წვლილი შეეტანა ამ საქმეში, შეუკვეთა ახალი სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორებიც უკვე სხვაგვარად აფასებენ იოსებ სტალინის ფიგურას, ერთ-ერთ ოფიციალურად მოწონებულ სახელმძღვანელოში კი სტალინი „ყველაზე წარმატებულ საბჭოთა ლიდერად“ არის მოხსენიებული.

ასეთი მიდგომა შეიძლებოდა ირონიულად მოგვჩვენებოდა. მაგრამ პუტინს მართლაც სურს გაითქვას სახელი როგორც დიქტატორმა, რომელიც, მეოცე საუკუნის ყველაზე საშინელი და სისხლისსმელი დამნაშავე თუ ვერ გახდა, პირველ სამეულში მაინც შევა ჰიტლერის და მაოს გვერდით.



უნდა ითქვას, რომ სტალინის რეაბილიტაციის მცდელობა საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს. ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით ახალგაზრდა რუსეთელთა 54 პროცენტს სტალინი „ბრძენ ლიდერად“ მიაჩნია.

ასეთი დასკვნა რომ გამოიტანოს ადამიანმა, მან უნდა მიუტევოს ან დაივიწყოს ყოველივე ის, რასაც ცენტრალური ადგილი უკავია სტალინის 25-წლიან მმართველობაში, რომლის შემდეგაც მან, როგორც იტყვიან, გვამების გროვა დატოვა.

სტალინის პირველი მნიშვნელოვანი „მიღწევა“ იყო ბრძოლა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ამაღლებისთვის, როცა მან ძალდატანებით შერეკა მილიონობით გლეხი კოლმეურნეობებში და გაანადგურა შეძლებული გლეხობის კლასი, რომლებსაც ბოროტი ხალხის მტრების იარლიყი მიაწებეს. იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც მოგვიანებით ერთ-ერთმა სწავლულმა-მარქსისტმა „სამხედრო მეთოდების გამოყენებით საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ისტორიაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უდიდესი ოპერაცია“ უწოდა, გლეხობის მასები ან დაიღუპნენ, ან ციმბირში უკრეს მათ თავი.

ახალი სახელმძღვანელოები განმარტავენ, რომ სტალინური მეთოდები, თვით იმის მიუხედავადაც კი, რომ ისინი ძალზე სასტიკი იყო, ემსახურებოდა მნიშვნელოვან ამოცანას — ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მაგრამ კოლექტივიზაციამ ისეთი შიმშილობა გამოიწვია, რომლის მსგავსიც თავისი მასშტაბის მიხედვით ისტორიაში, ალბათ, არც კი მოიძებნება.

უკრაინაში სურსათის უკმარისობა იმდენად მწვავე იყო, რომ თავის გადარჩენის მიზნით ადამიანები ხშირად კანიბალიზმსაც მიმართავდნენ. ხელისუფლება იძულებული გახდა ასეთი წარწერებიც კი გაეკეთებინა: „მკვდარი ბავშვების ჭამა ბარბაროსობაა“. შიმშილობას, აგრეთვე საკონცენტრაციო ბანაკებსა და მასობრივ დახვრეტებს 14 მილიონზე მეტი ადამიანი შეეწირა.

მაგრამ სტალინი მარტო კლასობრივ მტრებს როდი უსწორებდა სასტიკად ანგარიშს. მისი მოკავშირეებიც დიდ რისკზე მიდიოდნენ. 30-იანი წლების „დიდი ტერორის“ დროს მან მასობრივი წმენდა განახორციელა თავის უახლოეს თანაშემწეებსა და სახელმწიფო მოხელეებს შორის, ეს ასევე შეეხოთ კომუნისტური პარტიის რიგით წევრებს, საიდუმლო პოლიციის თანამშრომლებს, დიპლომატებს და მხედართმთავრებს. უგუნურობის მთელი ამ ტალღის შედეგად დაიღუპა მილიონობით ადამიანი, რომელთაგან მრავალი გაწყდა გულაგის არქიპელაგის სახელით ცნობილი შრომა-გასწორებითი ბანაკების უზარმაზარ ქსელში შრომის არანორმალური პირობების შედეგად.

პუტინის პროპაგანდა ხოტბას ასხამს სტალინს იმის გამო, რომ მან გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში. მაგრამ სტალინისეული პარანოია რომ არა, ამ ომის მოგება გაცილებით გაადვილდებოდა. სტალინის გეგმები რომ გამართლებულიყო, საბჭოთა კავშირს არ მოუწევდა ომი ნაცისტებთან. თავდაპირველად მან დაამყარა კავშირი ჰიტლერთან, რისი წყალობითაც სტალინმა დაიბრუნა პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაკარგული რუსეთის იმპერიის მიწები, განახორციელა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ანექსია და ჩაიგდო ხელში პოლონეთის ნაწილი.

ყოველივე ეს მან დაკარგა 1941 წელს, როცა გერმანია დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. სტალინი, რომელიც არავის ენდობოდა, დედამიწაზე ის ბოლო ადამიანი აღმოჩნდა, ჰიტლერის სიტყვები რომ ირწმუნა“, — წერს ისტორიკოსი პოლ ჯონსონი. უამრავი ჯარისკაცი დაიხოცა ომში იმის გამო, რომ სტალინმა წითელ არმიას დაუხვრიტა საუკეთესო ოფიცრები.

ახალ სახელმძღვანელოებში გავლებულია პარალელი სტალინსა და ოტო ფონ ბისმარკს, „რკინის კანცლერს“ შორის, რომელმაც მე-19 საუკუნეში შეძლო გერმანიის გაერთიანება. მაგრამ ბისმარკს, რომელიც მტრებს ბრძოლის ველზე ებრძოდა, საკუთარი ხალხისთვის არ გამოუცხადებია ომი, სწორედ ამით განსხვავდება იგი სტალინისგან. თუ ამ ადამიანის მმართველობის ისტორია სიამაყის საგანია, მაშ სირცხვილის გრძნობა რაღამ უნდა გამოიწვიოს?

პუტინის ხალხი იმსახურებს თანაგრძნობას იმ უმძიმესი ტვირთის გამო, რომელიც მას დააკისრა წარსულმა. გერმანელებმა დაამტკიცეს, რომ შეიძლება აყვავებული სახელმწიფოს მშენებლობა ისე, რომ კაცმა არ დახუჭო თვალი წარსულზე. რუსებმა ამ კამპანიას უნდა უპასუხონ არა სიამაყით, არამედ შიშით. თუ მთავრობას შეუძლია ყოველივე ამის გამართლება, რაც მოიმოქმედა სტალინმა, მაშინ იმასაც გაამართლებს, რისი გაკეთებაც თავად სურს.

**სტივ ჩეპმენი,**
**„ჩიკაგო ტრიბიუნი“ (აშშ).**

## ესპანეთი დაეხმარება საქართველოს სამხრეთ ოსეთის სტატუსის გარკვევაში

**ესპანელი ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს შემადგენლობაში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში. ეს ჟურნალისტებს აცნობა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში დავით ბაქრაძემ.**

ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან მიგელ მორატინოსთან შეხვედრის შინაარსის განმარტებისას, ბაქრაძემ თქვა: „ჩვენ განვიხილეთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის დაწვრილებით ვიმსჯელეთ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებასა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესზე“. „ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დათანხმდა, რომ ესპანელმა ექსპერტებმა მიიღონ მონაწილეობა საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში“, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.




მორატინოსი ასევე შეხვდება საქართველოს პარლამენტის სპიკერს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რის შემდეგაც გამართავს პრესკონფერენციას ჟურნალისტებისთვის.

საგულისხმოა, რომ გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა ცხინვალის რეგიონში, სადაც ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მეთაურობით უწოდა „ბოროტი დედინაცვალი“ რომელიც „თავზე დააჯდა“ მთელ ცხინვალს“. „ბავშვობაში, როცა ყველა ეზოში ვთამაშობდით, იყვნენ ისეთი მშობლებიც, რომლებიც თავიანთ შვილებს არ უშვებდნენ სათამაშოდ სხვა ბავშვებთან. ესენი კი, ავი დედინაცვლებივით, არ უშვებენ ბავშვებს არც ატრაქციონებზე, არც სპორტულ მოედნებზე და არც ახალ მაღაზიებში“, — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა: „მათ სურთ, რომ ადამიანები ემორჩილებოდნენ იმ სასტიკ პირობებს, რომლებიც თვითონ შექმნეს“.

◎ ინფორმაცია

**ქართული მხარის მიერ დაკავებული ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონის ორი სამხედროს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას რუსეთი კვლავ მოითხოვს.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამსაკითხთან დაკავშირებით სამინისტროში საქართველოს დროებითი რწმუნებული დაიბარეს და დაკავებულებთან მეთა სამინისტროს უკვე გადაეგზავნა.

რუსეთის მხარის განმარტებით, ნებისმიერი წესის დარღვევის შემთხვევაში, სამშვიდობოები საკუთარი ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ ექცევიან და ქართულ მხარეს მათი დაკავებისა და მით უმეტეს გასამართლების უფლება არ ჰქონდა.

ქართულ-ოსური კონ-

### ოსეთის ბატალიონის წევრების დაკავება რუსეთს აღშფოთებს

რუსეთის წარმომადგენლების შეშვება მოითხოვეს.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება მიიჩნევს, რომ სამხედროების დაკავება საერთაშორისო ნორმების, შერეული სამშვიდობო ძალების ფორმირებისა და საქმიანობის შესახებ არსებული შეთანხმებების უხეში დარღვევით განხორციელდა.

სამინისტროს ცნობით, ამასთან დაკავშირებით საპროტესტო ნოტა საქართველოს საგარეო საქ-

ფლიქტის ზონაში მყოფი შერეული სამშვიდობო ძალების ჩრდილოეთ ოსური ბატალიონის წევრები ხაჩიროვი და ვალიევი ქართველმა სამართალდამცველებმა 29 აგვისტოს დააკავეს. მცხეთის სასამართლომ მათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ისინი საქართველოს მოქალაქეების დაკავებაში არიან ბრალდებულნი.

**ინტერპრესნიუსი**

# საზღვარგარეთ

● როგორც ცნობილია, გასულ კვირას რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ განაცხადა, რომ ჟურნალისტი ქალის მკვლელობის საქმის მიხედვით დაკავებულია ათი კაცი, რომელთა შორის არიან „უშუალო ორგანიზატორები, მათი დამქაშები და დანაშაულის შემსრულებლები“



## სახელმწიფო სათათბიროში „ფერხდება“ საარჩევნო კამპანია

**ოფიციალურ „როსიისკაიას გაზეტას“ აქამდე არ გამოუქვეყნებია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანებულება სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების გამართვის თარიღის დანიშვნის შესახებ, თუმცა ამის გაკეთება გაზეთს ჯერ კიდევ ორშაბათს შეეძლო.**

ზოგიერთი ექსპერტი ასეთ შეფერხებას უკავშირებს კულისებსმიღმა მიმდინარე შიდაპოლიტიკურ პროცესებს. პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნება მისცემს სტარტს მრავალ საარჩევნო პროცედურას, რომელთა თანახმადაც სათათბიროს არჩევნები უნდა გაიმართოს 2 დეკემბერს. კერძოდ, დაიწყება კანონით გათვალისწინებული იმ 30 დღის ათვლა, რომელთა განმავლობაშიც პარტიებმა ოფიციალურად უნდა გააფორმონ თავიანთი კანდიდატების სიები.

სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა და „ედინაია როსიას“ პარტიის ლიდერმა ბორის გრიზლოვმა ორშაბათს განაცხადა, რომ ბრძანებულება პრესაში გამოჩნდებოდა 4 სექტემბერს, რის შემდეგადაც დაიწყებოდა საარჩევნო კამპანია.

„როსიისკაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის მოადგილის ტიმოფეი კუზნეცოვის თქმით კი გამოცემა „ვერ ისარგებლებს ელექტრონული წყაროებით“ და იგი უნდა დაელოდოს ოფიციალურ ქაღალდს, რომელიც ფელდეგერმა უნდა მიიტანოს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წყარომ გაზეთ „ვედომოსტიში“ ასეთი შეფერხება „ტექნიკური მიზეზებით“ განმარტა და აღნიშნა, რომ ბრძანებულება 5 სექტემბერს გამოქვეყნდება. ეს ინფორმაცია გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ვლადისლავ ფრონინმაც დაადასტურა. „ბრძანებულება უკვე რედაქციაშია და იგი ხვალ გამოქვეყნდება“, — აცნობა მან ინტერფაქსის სააგენტოს.

„აქ არანაირი პოლიტიკა არ არის“, — ირწმუნება კრემლის წყარო. მისი აზრით, „ერთიორი დამატებითი დღე, რომლებსაც პარტიები მიიღებდნენ დოკუმენტების შესაგროვებლად, ალბათ, რაიმე სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენდა“.

ასეთ შეფერხებაში კანონმდებლობის დარღვევას ვერ ხედავს ვერც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ევგენი კოლიუშინიც. როგორც მან თქვა, კანონი ბრძანებულების გამოსაქვეყნებლად ხუთ დღეს იძლევა.

ამავე დროს, კოლიუშინმა აღნიშნა, რომ „ედინაია როსიას“ ყრილობა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის პარტიული კანდიდატები, დანიშნულია 2 ოქტომბრისათვის. ასეთ შემთხვევაში, ბრძანებულების გამოქვეყნება ორშაბათს პარტიის წევრებს არ დაუტოვებდა დროს იმისთვის, რომ გაეფორმებინათ სიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადასაცემად. შესაბამისად, დაასკვნის კონიუშჩინი, ბრძანებულების გამოქვეყნების შეფერხება შეესაბამება გრიზლოვის პროსამთავრობო პარტიის ინტერესებს, რომელსაც ახლა მიეცემა ორი დამატებითი დღე დოკუმენტაციის გადასაცემად.

## პოლიტკოვსკაიას საქმე: მთავარი გამომძიებელი შეიცვალა?

**როგორც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, ქვეყნის გენერალურმა პროკურატურამ შეცვალა ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის გამომძიებელი ბრიგადის ხელმძღვანელი.**

ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ადვოკატმა დაადასტურა ეს ინფორმაცია. თუმცა, გენერალური პროკურატურის პრესსამსახურში ჯერჯერობით თავს იკავებენ ასეთი ფაქტის დამოწმებისგან.



საგამოძიებო ბრიგადის ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ შეიტყო დიმიტრი მურატოვმაც, „ნოვაია გაზეტას“ მთავარმა რედაქტორმა, რომელშიც მუშაობდა ანა პოლიტკოვსკაია.

ერთ-ერთ ინტერვიუში მურატოვმა აღნიშნა, რომ „არაფერი საწინააღმდეგო არ აქვს“ სერგეი ივანოვისა, რომელიც, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თუ ვერწმუნებით, დანიშნეს საგამოძიებო ბრიგადის ყოფილი ხელმძღვანელის პეტრე ღარიბიანის ადგილზე. თვით ღარიბიანის შესახებ მურატოვმა თქვა, რომ იგი „ჩინებული ანალიტიკოსი“ და „ბრწყინვალე გამომძიებელი“ არის.

„პეტრე ღარიბიანი ის ადამიანია, რომელმაც გახსნა მისთვის გამოსაძიებლად გადაცემული ყველა მძიმე დანაშაულობა, — თქვა მურატოვმა „ბი-ბი-სის“ მიცემულ ინტერვიუში. — თუ შეძლებენ ღარიბიანის დაყოლიებას საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელად დარჩენის თაობაზე, მექნება იმის იმედი, რომ კვლავ გაგრძელდება პოლიტკოვსკაიას საქმის გამოძიება“.

მურატოვის თქმით, „ღარიბიანის ჯგუფი აბსოლუტურად სწორ გზას ადგას პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შემსრულებელთა და ორგანიზატორთა მხილების საკითხში“.

თვით „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტებიც ახორციელებენ პოლიტკოვსკაიას მკვლელობის გამოძიებას გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობით.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ განაცხადა, რომ ჟურნალისტი ქალის მკვლელობის საქმის მიხედვით დაკავებულია ათი კაცი, რომელთა შორის არიან „უშუალო ორგანიზატორები, მათი დამქაშები და დანაშაულის შემსრულებლები“. ითქვა ასევე, რომ დაკავებულ პირთა შორის იყვნენ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების ფედერალური სამსახურის როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი თანამშრომლები. მაგრამ უკვე რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ მკვეთრად შემცირდა დაკავებულ პირთა სია.

ორი კაცი გაათავისუფლეს საგამოძიებო იზოლატორიდან, მესამეს, თითქოსდა, აღმოაჩნდა ალიბი, ამის შემდეგ კი სასამართლომ აღიარა, რომ, თურმე, უკანონოდ დაუპატიმრებიათ კიდევ ერთი ეჭვმიტანილი — უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომელი.



## რაფსანჯანი ირანის ექსპერტთა საბჭოს ჩაუდგება სათავეში

**ირანის ყოფილი პრეზიდენტი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი აირჩიეს გავლენიანი რელიგიური საკონსულტაციო საბჭო სპიკერად. ექსპერტთა საბჭო აღჭურვილია ქვეყნის უმაღლესი ლიდერის არჩევისა და მისი საქმიანობის გაკონტროლების უფლებამოსილებით. საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს შეუძლია პოსტიდან გადააყენოს უმაღლესი ლიდერი — აიათოლა ალი ჰამენეი. რაფსანჯანი დაიკავებს აიათოლა ალი მეშქინის ადგილს, რომელიც ივლისში გარდაიცვალა.**

როგორც კორესპონდენტები აღნიშნავენ, ამ თანამდებობაზე დანიშვნა აამაღლებს რაფსანჯანის ავტორიტეტს, რომელიც ისედაც ფრიად გავლენიანი ფიგურაა ირანის პოლიტიკაში.

აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი, რომელსაც ზომიერ პოლიტიკოსად მიიჩნევენ, საბჭოს წევრად აირჩიეს 2006 წლის დეკემბერში.

კენჭისყრამდე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, რაფსანჯანი მუდამ აღნიშნავდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკონსულტაციო საბჭოს. „ექსპერტთა საბჭო უნდა იყოს ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, რადგან იგი აკონტროლებს უმაღლესი ლიდერის მოქმედებას“, — აცხადებდა რაფსანჯანი.

ირანის ყოფილ პრეზიდენტს საბჭოს 86 წევრიდან 41-მა მისცა ხმა, და მან 11 ხმით გაუსწრო თავის უახლოეს მეტოქეს — აიათოლა აჰმედ ჯანათის.

აიათოლა ჯანათი — კონსერვატორი, რომელიც ხისტი პოზიციის მომხრეა და მეთაურობს ისლამური რევოლუციის გუშაგთა გავლენიან საბჭოს — ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ რაფსანჯანი პოლიტიკას დაუბრუნდა.

რაფსანჯანის არჩევა ექსპერტთა საბჭოს სპიკერად კიდევ ერთ დარტყმას აგემებს ასევე მის მეტოქეს — ირანის პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადინეჯადს.

როგორც უცხოელი მიმომხილველები აღნიშნავენ, ირანის პოლიტიკაში ამჟამად ხდება დაყოფა ორ ბანაკად. ერთში გაერთიანდნენ რაფსანჯანის, მეორეში — აჰმადინეჯადის მომხრეები, კულისებსმიღმა კი მიმდინარეობს დიდი ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

## ჩრდილოეთ კორეა არ ამოუშლიათ „შავი სიიდან“

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ქრისტოფერ ჰილმა უარყო ფხენიანის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, თითქოს ვაშინგტონი დათანხმდა ჩრდილოეთ კორეის ამოღებას ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების სიიდან.**

ამერიკელი დიპლომატის თქმით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა დამოკიდებული იქნება იმ პროგრესზე, რომელსაც ფხენიანი მიაღწევს თავისი ბირთვული პროგრამის შეწყვეტის საქმეში.



ორშაბათს კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება აცხადებდა, რომ გასულ უქმე დღეებში ჟენევაში გამართულ ორმხრივ მოლაპარაკებაზე მიღწეულია მორიგება შეერთებულ შტატებთან ჩრდილოეთ კორეის „შავი სიიდან“ ამოღების შესახებ. ამის პასუხად, აღნიშნავდნენ ფხენიანში, ჩრდილოეთ კორეამ მიმდინარე წლის დამლევამდე უნდა გააჩეროს თავისი ბირთვული ობიექტები.

„შავ სიაში“ მოხვედრილ სახელმწიფოებს ეკრძალებათ იარაღისა და მისი კომპონენტების გაყიდვა და მათზე არ ვრცელდება ასევე ეკონომიკური დახმარების ზოგიერთი ფორმა.

გასულ წელს ფხენიანმა განახორციელა ბირთვული გამოცდა. საერთაშორისო გაერთიანება ვერ ახერხებს ჩრდილოეთ კორეის დარწმუნებას იმაში, რომ აიღოს ხელი თავისი ბირთვული პროგრამის განხორციელებაზე. თუმცა, ჯერ კიდევ 2005 წლის დამლევს ჩრდილოეთ კორეა, პრინციპში, დათანხმდა განიარაღებას.

მიმდინარე წლის თებერვალში მიღწეული იყო უფრო კონკრეტული მორიგება, მაგრამ მის შესრულებას აფერხებდა ის გარემოება, რომ ფხენიანი ვერ იღებდა ფულს, რომელიც მაკაოს კომერციულ ბანკში გაყინეს ამერიკელთა მოთხოვნით.

როცა საჭირო თანხები მიიღო, ჩრდილოეთ კორეამ გააჩერა თავისი მთავარი ბირთვული რეაქტორი და მისცა მაგატეს ინსპექტორებს ამაში დარწმუნების შესაძლებლობა. მაშინ ქვეყანაში სამხრეთ კორეიდან გაიგზავნა მაზუთის პირველი პარტია — 50 ათასი ტონა. ფხენიანს კიდევ 950 ათასი ტონა მაზუთის მიწოდებას დაპირდნენ, მაგრამ ამის სანაცვლოდ მას უნდა შეეწყვიტა თავისი ბირთვული საქმიანობა.

## მატარებლები უფრო სწრაფად ივლის

**პირველი Eurostar მატარებელმა პარიზიდან ლონდონისკენ აიღო გეზი ახალი ჩქაროსნული ხაზით, რომელიც მგზავრებისთვის 14 ნოემბერს გაიხსნება. როგორც ვარაუდობენ, საფრანგეთისა და ბრიტანეთის დედაქალაქებს შორის მგზავრობის დრო 20 წუთით შემცირდება და 2 საათსა და 15 წუთს შეადგენს. ახალი ხაზით მატარებლების მოძრაობის სიჩქარე საათში 300 კილომეტრს მიაღწევს.**

14 ნოემბერს Eurostar მატარებელი პარიზიდან ჩავა არა ლონდონის ვატერლოოს სადგურში, არამედ სენტ-პენკრასის ვაგზალში. ახალი ხაზის ამოქმედება და ლონდონის სადგურის რეკონსტრუქცია დაახლოებით 11,6 მილიარდი დოლარი დაჯდა.



№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

# სპორტი

პაიჭაძე, რომელიც მეორე ნახევარში გამუდმებით ინაცვლებდა მარცხენა ფრთაზე, რაღაცა მანქანებით, გვერდს უვლის ზედიზედ რამდენიმე მოწინააღმდეგეს და აწვდის მარჯვნივ ჯეჯელავას, ეს უკანასკნელი უბრუნებს ცენტრში ლიად დარჩენილ ხარბედიას, ძლიერი დარტყმა და განსხვავება ბურთებში უკვე მინიმალურია



წერილი მესამე

## ორბიტაზე



### ვის დავუჯეროთ?

**თუ გაზეთ „სპორტ-ექსპრესს“ დავუჯერებთ, რუსეთელ ქალთაგან ამერიკის ღია ჩემპიონატზე მერვედფინალამდე ერთადერთი რუსეთელი ქალი ჩოგბურთელი დინარა საფინა-ლა იყო დარჩენილი და ისიც, 59 წუთში დამარცხდა ბელგიელ ჟიუსტენ ენენთან – 6:0,6:2.**

მაგრამ სხვა სპორტული პრესა, მათ შორის IYEW. sru. com. Cmop.mu გვაუწყებს, რომ რუსეთელებიდან ბრძოლას აგრძელებენ გარუსებული ქართველი ანა ჩაკვეტაძე. აგრეთვე სვეტლანა კუზნეცოვა, და ვაჟებიდან – ნიკოლაი დავიდენკო. ისინი გავიდნენ ნახევარფინალში.

ანა ჩაკვეტაძემ მერვედფინალში სძლია ავსტრიელ ტამირ პაზელს – 6:1, 7:5. კუზნეცოვამ კი ბელორუს ვიქტორია აზარენკოს – 6:2,6:3.

მეოთხედფინალში ანას ისრაელელი შახარ პეერი ელოდება. კუზნეცოვას კი – უნგრელი აგნეშ შავაი.

### სერბული ფეხბურთის საფრთხე

**დამოკლეს მახვილი სერბული ფეხბურთს წინააღმდეგ ხელახლა აღმართა.**

23 აგვისტოს ბრიუსელში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბელგიის ნაკრებთან დამარცხების



მეორე დღეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო ცნობა უეფადან – 17 ივლისს ჰოლანდიაში ახალგაზრდულ ჩემპიონატზე სერბეთ-ინგლისის მატჩის დროს რასიხმის გამოვლენისთვის სერბეთის ფეხბურთის კავშირის ჯარიმა 24000-ევროდან 61 ათასამდე გაიზარდა. აქედან 50 ათასი დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადონ. დანარჩენი კი – მომდევნო ორ წელიწადში.

როგორც ამბობენ, სერბეთს ყველა შეჯიბრებიდან გამორიცხვა ემუქრება ორი წლით.

სერბეთის ფეხბურთის კავშირს დიდი მუშაობა მოუწევს, რათა მოიხსნას რასიზმის გამოვლენის იმიჯი.

## რაც დავიწყებით არ იბინდება

# გულშემატკივრის მოგონებები, ანუ ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში

**მრავალი წლის შემდეგ ბ.პაიჭაძემ მიამბო, გასახდელში რომ ჩავედით, მკვდრებივით ვიყავით, დანა პირს არ გვიხსნიდა, გაოცებულები დავრჩით, როცა დავინახეთ ჩვენი მწვრთნელი მიხეილ პავლეს ძე ბუტუსოვი, რომელიც გაღიმებული შემოვიდა გასახდელში.** ცხვირები ნუ ჩამოგიშვიათ, ჯერ კიდევ არაფერი არაა დაკარგულიო, მოგვმართა. შემდეგ მე მომიბრუნდა: – აბა, ბორის, დავიწყოთ? ვუჩვენოთ ჩვენი გამოგონებაო? – ბუტუსოვს მხედველობაში ჰქონდა ის ტაქტიკური



სერგო შუდრა

სიახლე, რომელსაც ჩვენ ვამუშავებდით საწვრთნელ ვარჯიშებზე და რომლის პირველად გამოყენებას ვაპირებდით მომდევნო თამაშში ლენინგრადის „დინამოსთან“. ეს გახლდათ ე.წ. „ორგანიზებული არეულობის“ ტაქტიკა, რომლის დროს ჩვენ – წინა ხაზის სამი ფორვარდი – გ. ჯეჯელავა, ა.ხარბედია და მე გაუწყვეტლივ ვიცვლიდით ადგილებს, რასაც დაბნეულობა უნდა შეეტანა მეტოქეთა რიგებში. აქვე გადაწყდა შავგულიძის მაგივრად მეორე ნახევარში ა.მინჯია გამოსულიყო მოედანზე“.

ყოველივე ეს, მაყურებლისათვის, რაღა თქმა უნდა, უცნობი დარჩა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი გახდა: თამაშის განახლების პირველივე წუთებიდან: გუნდს არ ჰქონდა დაკარგული საკუთარი ძალების რწმენა. მოედანზე ახალგამოსულმა მინჯიამ მკვეთრად გაამაგრა დაცვის ხაზი და თბილისელთა თავდასხმა ჯიქურ დაიძრა საიერიშოდ. აი, ბედნიერი შემთხვევაც: მეორე წუთზე მოსკოველთა კარში (ამჯერად მათ ჩრდილოეთის კარი ეჭირათძ დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. როგორც მუდამ, მ. ბერძენიშვილმა თავისი ხელით გაასწორა ბურთი, შეასრულა გრძელი გამორბენა და მშვიდად გაგზავნა ბურთი კარის მარჯვენა კუთხეში. მეკარე კი... მეკარემ თავგანწირული ნახტომი გააკეთა კარის საწინააღმდეგო კუთხეში და შემდეგ ამაოდ ცდილობდა მიცოცებულიყო ფეხებით ბურთისაკენ. მხიარულმა გამოცოცხლებამ, რომელმაც სტადიონს გადაუქროლა, ახალი სული შთაბერა ჩვენ ფეხბურთელებს და მაყურებლებსაც იმედი ჩაუსახა. შეიძლება ითქვას, რომ სიგნალი მიცემულ იქნა და ის, რაც შემდგომ მოედანზე მოხდა, ზღაპარს უფრო ჰგავდა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი შტურმის მომსწრე არასოდეს ვყოფილვარ. მე-14 წუთი: პაიჭაძე, რომელიც მეორე ნახევარში გამუდმებით ინაცვლებდა მარცხენა ფრთაზე, რაღაცა მანქანებით, გვერდს უვლის ზედიზედ რამდენიმე მოწინააღმდეგეს და აწვდის მარჯვნივ ჯეჯელავას, ეს უკანასკნელი უბრუნებს ცენტრში ლიად დარჩენილ ხარბედიას, ძლიერი დარტყმა და განსხვავება ბურთებში უკვე მინიმალურია. მეოთხე ბურთი, რომელიც კიდევ 15 წუთის შემდეგ გავიდა, თავისი წინამორბედის ტყუპის ცალი იყო. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე. ბოლო 20 წუთის მანძილზე მთელი სტადიონი ფეხზე ამდგარი ადევნებდა თვალყურს ამ უმაგალითო ორთაბრძოლას. 5 წუთიღა აკლდა თამაშის დამთავრებას, როდესაც ბურთი მარჯვენა ინსაიდის პოზიციაში მიიღო ფინტების სწორუპოვარმა ოსტატმა გაიოზ ჯეჯელავამ და თავისი საყვარელი ილეთით „ნახევარვარდნაში“ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

9 ბურთი გავიდა ამ დაუვიწყარ, მართლაც რომ ფანტასტიკურ მატჩში და არც ერთში მეკარეებს არ მიუძღოდათ ბრალი. მაგრამ თამაშის დამთავრებამდე კიდევ ერთი დრამატული ეპიზოდის მოწმენი გავხდით. მოსკოველებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და სასოწარკვეთით ეკვეთნენ თბილისელთა კარს. კარის სიახლოვეს მყოფმა ფედოტოვმა მიიღო გადაცემა და ფეხის მოკლე მკვეთრი მოძრაობით ელვის უსწრაფესად მარჯვენა კუთხისკენ გაგზავნა ბურთი. გოლი გარდაუვალი ჩანდა, რაღაც სასწაულებრივად, უკანასკნელ მომენტში დოროხოვმა ფეხის წვერით, თითქმის „შპაგატში“, გადაუღობა გზა ბურთს, რომელმაც უცნაური ტრაექტორია მოხაზა და კორნერში გადავარდა. მოიგერიეს მოსკოველთა კიდევ ერთი შეტევა და თამაში დამთავრდა.

გზა მეორე ადგილისაკენ გაიხსნა. ჩვენებმა მოიგეს დარჩენილი ორი თამაში – ლენინგრადის „დინამოსთან“ 4:1 (ჯეჯელავა – 2 გოლი, პაიჭაძე, ბერეჟნოიძ და დიდი გაჭირვებით – ჩემპი-



ვიქტორ პანიუკოვი

ონატის აუტსაიდერთან – ოდესის „დინამოსთან“ 1:0 (თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე შორეული დარტყმით ბურთი პაიჭაძემ გაიტანაძ და საბოლოოდ, ერთი ქულით გაუსწრეს „ცდკას“.

ბევრმა წყალმა ჩაიარა ამის შემდეგ, ბევრი ბრწყინვალე წარმატების მომსწრენი გავხდით, მაგრამ ის, რაც თერთმეტმა დინამოელმა მოიმოქმედა 1939 წლის 18 ნოემბერს, სამუდამოდ დარჩა ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში, როგორც ვაჟკაცური შემართების, ნამდვილი სპორტული გმირობის სიმბოლო.

ასე დამთავრდა ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ჩემპიონატი თბილისის „დინამოს“ ისტორიაში – ბრწყინვალე სტარტითა და ფინიშით და, ფაქტობრივად, ჩავარდნილი „მიტელშპილით“.

სეზონის შედეგების მიხედვით, „3 საუკეთესოთა“ სიაში №1-ად შეიყვანეს ბორის პაიჭაძე და გაიოზ ჯეჯელავა.

ჩემპიონატის მთავარი „ბომბარდირი“ გახდა გ.ფედოტოვი 21 გოლით, ბ.პაიჭაძე მეორე იყო – 19 გოლით.

ფრიად დრამატული აღმოჩნდა ჩვენი გუნდისათვის ამავე წლის სსრკ თასის გათამაშებაც. თავდაპირველად მოვუგეთ 5:2 ძლიერ მოსკოვის „ტორპედოს“, შემდეგ კინაღამ წავიფორხილეთ სუსტ „პიშჩევიკთან“ (დაგვჭირდა ორი თამაში: 2:2 და 1:0), მოვუგეთ ბათუმის „დინამოსაც“ (5:3), რომელიც იმ წელს „ბ“ კლასში გამოდიოდა და რომლის თამაში ყველას მოეწონა. ამის შემდეგ ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა – „ცდკა“, ისიც მოსკოვში (22.VIII).

ამ თამაშის შესახებ ერთხელ მიამბო ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ძალზე სიმპათიურმა პიროვნებამ ასლან ხარბედიამ: „თამაშის დასაწყისში გავიტანე გოლი, რის შემდეგაც მოსკოველები დაუსრულებლად გვიტევდნენ, მაგრამ ჩვენ კარში შურა დოროხოვი სასწაულებს ახდენდა. მეკარის ასეთი თამაში მე აღარ მინახავს“. 1:0, რამაც თბილისელები თასის გათამაშების ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკთან“ – 1938-1939 წლების საბჭოთა ფეხბურთის აბსოლუტურ ლიდერთან – გაიყვანა.

ახლა კი მოგვიხდება ერთი დეტექტური ისტორიის მოყოლა, რომლის მსგავსს არ იცნობს მსოფლიო ფეხბურთის ისტორია.

თბილისის „დინამო“ 8 სექტემბერს თასის ნახევარფინალში შეხვდა მოსკოვის „სპარტაკს“ და დამარცხდა 0:1. „დინამომ“ შედეგი გააპროტესტა იმ მოტივით, რომ მსაჯმა გორელკინმა არასწორად ჩათვალა გოლი ჩვენ კარში.

ბ. პაიჭაძე იგონებდა: „ რამდენიმე დღე ამაოდ ველოდებოდით პასუხს სპორტკომიტეტიდან. ბოლოს, ნება დაგვრთეს სახლში გავმგზავრებულიყავით. ჩამოვედით თბილისში, ჩავატარეთ ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა კიეველებთან. ამასობაში, 12 სექტემბერს „სპარტაკმა“ ფინალში მოუგო ლენინგრადის „სტალინეცს“ 3:1 და დაისაკუთრა საბჭოთა კავშირის თასი.

მოულოდნელად, ერთი კვირის შემდეგ მოსკოვიდან დაგვირეკეს, რომ სასწრაფოდ ჩავსულიყავით მოსკოვში „სპარტაკთან“ ნახევარფინალის გადასათამაშებლად. ჩვენ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მაინცადამაინც არც გაგვიხარებია, მაგრამ ვინ გაბედავდა „მაღალი ინსტანციის“ დაუმორჩილებლობას?

გადათამაშება კვლავ „სპარტაკმა“ მოიგო – 3:2 (საინტერესოა, რა მოხდებოდა ჩვენებს რომ მოეგოთ?ძ.

ამ უცნაური ისტორიის საკვანძო საკითხია ის, თუ რატომ და როგორ იქნა მიღებული – თანაც ასეთი დაგვიანებით – გადაწყვეტილება გადათამაშების შესახებ, უკვე იმის შემდეგ, რაც მოსკოვის „სპარტაკმა“ მოიგო სსრკ-ს თასი.

უნდა ითქვას, რომ ეს საქმე დღესაც ბურუსითაა მოცული, რომელიც, ჩანს, აღარასოდეს გაიფანტება, რადგანაც იმ ძველი ამბების მოწმენი, საფიქრებელია, აღარ არიან ამქვეყნად.

მოსკოველი ავტორების (ნ. სტაროსტინი და სხვებიძ აზრით, ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ – სტალინის, ან უკიდურეს შემთხვევაში, ბერიას განკარგულებით. ამ ვერსიის მოწინააღმდეგენი კი ფიქრობენ (ალბათ, სამართლიანადძ, რომ საკმარისი იყო ერთ ამათგანს გაენძრია მარცხენა ნეკი თითი, რომ სსრკ ყველა ჩემპიონატისა, თუ თასის გათამაშება მუდამ ერთი გუნდის (თქვენ თვითონ გესმით, რომლისძ გამარჯვებით დასრულებულიყო...

1939 წლის საფეხბურთო სეზონთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო, რომ იმ წელს სსრკ-ს ჩემპიონატის „ბ“ კლასის ტურნირში გამოდიოდა თბილისის „ლოკომოტივი“, რო-




გრიგოლ ფედოტოვი

მელმაც იქ მეორე ადგილი დაიკავა (მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ შემდეგძ და მოიპოვა „ა“ კლასში გადასვლის უფლება. კარგად მახსოვს, ძალზე დაძაბული მატჩი მოსკოველებთან (6 სექტემბერსძ, რომელიც, ნ. უსოვის მიკერძოებული მსაჯობის მიუხედავად, მაინც ჩვენების გამარჯვებით დამთავრდა – 3:2.

ჩვენ გუნდში მაშინ გამოდიოდნენ ცნობილი ფეხბურთელები: სერგო შუდრა (მეკარეძ, ალექსეი ვორონოვი (იგივე „ბელკა“ძ, ლური ლოლაძე, გიორგი აფრიდონიძე, გავრო ბოგატელო, შოთა ჯოჯუა, სერგო ნინუა, ივან ჩერედნიჩენკო, ვიქტორ პანიუკოვი. ეს ორი უკანასკნელი შემდეგ წელს თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში გადაიყვანეს.

აი, ასეთი საინტერესო, მრავალფეროვანი და თავისებურად დრამატული გამოდგა 1939 წლის საფეხბურთო სეზონი.

**გულბათ ტორაძე**

**(გაგრძელება იქნება).**

**მეგობრული შარჟები ამოღებულია დემიკო ლოლაძის წიგნიდან „ფეხბურთი ნახატებსა და შარჟებში“.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 162-168.**

# სპორტი

ორიოდე დღეც და, საფრანგეთში დიდი სარაგბო ფორუმი დაიწყება. საამაყოა, რომ მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეორედ ითამაშებს საქართველოს ეროვნული ნაკრები.



## ორბიტაზე

### თუ გული გულობს

**როგორც რენეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ცენტრალური ჰოსპიტლის კარდიოლოგებმა გამოიკვლიეს, პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანიველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ მონაწილეთა გულები 20-40 პროცენტით აღემატება ნორმას მასითა და ზომით.**

გულის კედლები სქელდება, რათა გაუძლოს სისხლის დიდ მოცულობას. ამის შემდეგ სპორტსმენის ორგანოები და კუნთები ჟანგბადის დიდ რაოდენო-



ბას ღებულობს და გამძლეობაც მატულობს.

ველორბოლა „ტურ დე ფრანს“ ყველაზე მძიმე შეჯიბრებადაა აღიარებული. სპორტსმენები სამი კვირის მანძილზე პრაქტიკულად ყოველდღე ასობით კილომეტრს გადიან, მათ შორის სამთო ეტაპებსაც.

ისინი ყველაზე გავარჯიშებულ სპორტსმენებად მიაჩნია დოქტორ ალფრედ ბოველს. მან შენიშნა, რომ ამ დროს დოპინგის გამოყენება გაცილებით საშიშია, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში.

### რონალდუ — მეძავებთან?

**ალბათ იტყვით, უამრავი ქალი (თუ ქალიშვილი) გიჟდება ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელ ნახევარმცველზე, 22 წლის კრიშტიანუ რონალდუზეო და ამ დროს მას მეძავეებთან რა ესაქმებაო.**

მაგრამ რა არ ხდება: ამას წინათ, მორიგი გამარჯვების შემდეგ, ახალგაზრდა ფეხბურთელმა კოლეგებთან ერთად დიდი ვახშამი გადაიხადა და თან ხუთი „მსუბუქი ყოფაქცევის“, ქალიშვილიც მიიწვია.

100 კილომეტრით მოშორებულ ქალაქ ლიდსიდან ჩამოყვანილი ლამაზმანები ფეხბურთელებთან ერთად თითქმის 6 საათს ზეიმობდნენ და აუზშიც ყურყუმალობდნენ. თანაც რონალდუს ვილაში თავისუფლად დასეირნობდნენ. ლხინი დილის 5 საათზე დამთავრდა.

როგორც ერთ-ერთმა ლამაზმანმა, ბრაზილიელმა ჯულიანა ბალტრუტამ განაცხადა, ის საათში 250 ევრო ღირს, თუმცა რონალდუ მას უხეშად ექცეოდა, მაინც კმაყოფილი დარჩა და ამ საღამოს მოსაგონებლად ფეხბურთელის სახლში ბუსტჰალტერი და ტრუსები დატოვა“.

იმ ღამის ორგიები პრესაშიც გახმაურდა.



## რაგბი

### ელიტა ჩვენი მღელვარებისა

**ორიოდე დღეც და, საფრანგეთში დიდი სარაგბო ფორუმი დაიწყება. საამაყოა, რომ მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეორედ ითამაშებს საქართველოს ეროვნული ნაკრები. მეტიც — ამჯერად სავსებით საფუძვლიანად ვიმედოვნებთ, რომ „ბორჯღალოსნები“ ყველაზე პრესტიჟულ ფორუმზე მოპოვებული პირველი გამარჯვებით გაგვახარებენ.**

**გთავაზობთ მომავალი ბატალიების პირველი რაუნდის კალენდარს:**

**7 სექტემბერი. 23:00.** საფრანგეთი — არგენტინა.
**8 სექტემბერი. 15:45.** ახალი ზელანდია — იტალია.
**9 სექტემბერი. 18:00.** სამხრეთ აფრიკა — სამოა.
**11 სექტემბერი. 22:00.** საქართველო — არგენტინა.
**12 სექტემბერი. 22:00.** იტალია — რუმინეთი.
**14 სექტემბერი. 23:00.** ინგლისი — სამხრეთ აფრიკა.
**15 სექტემბერი. 17:00.** უელსი — ავსტრალია.
**15 სექტემბერი. 23:00.** საქართველო — ირლანდია.
**16 სექტემბერი. 23:00.** საფრანგეთი — ნამიბია.
**18 სექტემბერი. 23:00.** შოტლანდია — რუმინეთი.
**21 სექტემბერი. 23:00.** საფრანგეთი — ირლანდია.
**22 სექტემბერი. 18:00.** ინგლისი — სამოა.
**23 სექტემბერი. 19:00.** შოტლანდია — ახალი ზელანდია.
**26 სექტემბერი. 20:00.** საქართველო — ნამიბია.
**29 სექტემბერი. 15:00.** ახალი ზელანდია — რუმინეთი.
**29 სექტემბერი. 23:00.** შოტლანდია — იტალია.
**30 სექტემბერი. 17:00.** საქართველო — საფრანგეთი.

## კალათბურთი

### ამბიციათა ცეცხლში

**ესპანეთში დაწყებული ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის პირველმა დღემ ყველანი დაარწმუნა, რომ ოქროს მედლებისთვის ბრძოლა უშეღავათო იქნება და გამარჯვებაზე პრეტენზიას მთელი რიგი გუნდები განაცხადებენ.**

სასტარტო შეხვედრათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმთავრეს ფავორიტად მასპინძლები უნდა მივიჩნიოთ,




რომლებმაც დიდი უპირატესობით მოუგეს პრინციპული დუელი მეზობლებს — პორტუგალიელებს — 82:56. რაც შეეხება ცალკეულ ვარსკვლავებს, გაიბრწყინა გერმანელთა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ, ვინც 35 ქულით შეეწია პარტნიორებს ჩეხების წინააღმდეგ — 83:78 (დამატებით დროში). გაგაცნობთ დანარჩენ შედეგებს: რუსეთი — სერბეთი 73:65, სლოვენია — იტალია 69:68, ლატვია — ხორვატეთი 85:77, ლიტვა — თურქეთი 86:69, საბერძნეთი — ისრაელი 76:66, საფრანგეთი — პოლონეთი 74:66.

## ოლიმპიზმი

### პოლიციელებო, თმას ნუ შეიღებავთ!



**2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების დროს მისი მონაწილეებისა და სტუმრების უსაფრთხოების დაცვაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩინელ პოლიციელებს. ამიტომაც პეკინის პოლიციაში დაიწყო ფართო კამპანია თანამშრომლების ქცევისა და მანერების გაუმჯობესებისთვის.**

ეს კამპანია მარტო პეკინში კი არა, ჩინეთის კიდევ ხუთ ქალაქში — შანხაიში, ცანდაოში, შენიანში, ტანცზინსა და ცინხუანდაოშიც მოეწყობა.

პოლიციელებს მორიგეობის დროს ეკრძალებათ მოწევა, ჭამა და კერძო საუბარი, რაც მათი იმიჯის შემლახვად მიაჩნიათ.

პოლიციელებს დასჯიან ფორმის „არასწორი“ ტარებისთვის, ყურადღება მიექცევა პოლიციელთა ავტომანქანების მოძრაობასაც. წესრიგის დამცველებს ეკრძალებათ „უჩვეულო ფერით თმის და წვერის შეღებვა“.

## ფეხბურთი

### ძმამაც ხომ უყო ანგარიში ძმას?



**შაბათს ეროვნულ სტადიონზე მეგობართა შესარჩევი მატჩია: საქართველო-უკრაინა. წინასწარი ინფორმაციით, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს ვიქტორ იუშჩენკო ეწვევა და მასპინძელ კოლეგასთან ერთად დაესწრება მომავალ შეხვედრას.**

თამაშის წინ ბევრი ამბობს, სტუმრებს ქულები სჭირდებათ და უნდა დავუთმოთო, ვითომ ისე გაუჭირდებათ „ჯვაროსანთა“ დაჩოქება. მათ მიზნის მიღწევაში, ვფიქრობთ, ახალკაც-ტოპმიოლერის მიერ განხორციელებული საკადრო წმენდა დაეხმარებათ, რაც ნაკრებიდან ხიზანიშვილის, ამისულაშვილის, ბურდულისა და კვირკველიას მოკვეთაში გამოიხატა. მიზეზი ტრაგიკომიკურია — მინდორზე ბოლომდე არ იხარჯებიანო. ვითომ სხვები თავს იკლავენ? ისიც ვიკითხოთ — თვითონ დასახელებულ დუეტს რამდენად აქვს ვინმეს დასჯის მორალური უფლება — მათი თავკაცობით ქართული ფეხბურთის ინფრასტრუქტურა აყვავდა, ეროვნული ჩემპიონატის დონე ამაღლდა, კლუბები ვეღარ ითვლიან საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულ წარმატებებს თუ ეროვნული ნაკრები განიცდის პროგრესს?

არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომელსაც რატომღაც არავინ იხსენებს. წინა შესარჩევ ციკლშიც, მოგეხსენებათ, ეს გუნდები ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ და მაშინ უკანასკნელ წუთზე გოგა გახოკიძის მიერ ზღაპრულად შესრულებული შორეული საჯარიმოს გამო, ოლეგ ბლოხინის შეგირდებმა თბილისში ძვირფასი ქულები დატოვეს. დავიჯეროთ, ჩვენი ძლევამოსილი თანამემამულენი კიდევ ერთხელ გამოსდებენ სარმას ხელიხელსაგოგმანებელ კეთილისმყოფელებს?

## ფორუმი

### ევროპა თუ აფრიკა?

**კორეაში დასასრულს მიუახლოვდა 17-წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო თასის გათამაშება. ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ: ესპანეთი-განა, გერმანია-ნიგერია.**

განსაკუთრებული სიმპათიით განელები სარგებლობენ, რომლებმაც ტურნირს არც მეტი, არც ნაკლები, ბრაზილიელები ჩამოაშორეს. არანაკლებ ივაჟკაცა კიდევ ერთმა აფრიკულმა გრანდმა — ნიგერიამ, რომელსაც არგენტინა ემსხვერპლა. რაც შეეხება ევროპულ ჯახებს, ესპანეთმა პენალტების სერიაში სძლია საფრანგეთს 5:4 (ძირითადი დრო — 1-1), ხოლო გერმანიამ ინგლისი დაჯაბნა — 4:1.



# თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „თბილისი“

## 2007-2008 სასწავლო წლისათვის აცხადებს პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

1. **„ნორმალური ანატომია“** – სრული პროფესორი- 1 ადგილი.
2. **„ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 2 ადგილი
3. **„ნორმალური ფიზიოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 2 ადგილი.
4. **„სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით და პარაზიტოლოგიით“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
5. **„კლინიკური ბიოქიმია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი, ასისტენტ პროფესორი – 1 ადგილი.
6. **„სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
7. **„ბიოსტატისტიკა და სამედიცინო ინფორმატიკა“** – ასოც. პროფ. – 1 ადგილი.
8. **„მედიცინის ისტორია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
9. **„სოციოლოგია, კულტუროლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
10. **„ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგიით“** – ასოც პროფ. – 1 ადგილი.
11. **„უცხო ენა** (ინგლისური,გერმანული ენა)“ – ასოც. პროფესორი – 1 ადგილი, ასისტენტ პროფესორი – 1 ადგილი.
12. **„ავადმყოფის მოვლის უნარ-ჩვევები** (თერაპია, ქირურგია)“ – ასისტ. პროფ. – 2.
13. **„ბიოეთიკა და სამედიცინო დეონტოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
14. **„სამედიცინო ბიოქიმია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი- 1 ადგილი.
15. **„მიკრობიოლოგია ვირუსოლოგიით“** – ასოცირებული პროფესორი – 2 ადგილი.
16. **„ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია“** – ასოც. პროფ. – 1.
17. **„ზოგადი ჰიგიენა“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
18. **„შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 7 ადგილი.
19. **„პათოლოგიური ანატომია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
20. **„პათოლოგიური ფიზიოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი
21. **„ფარმაკოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
22. **„სამედიცინო რადიოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 2ადგილი.
23. **„სამედიცინო ფსიქოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
24. **„ზოგადი ქირურგია“** – სრული პროფ. – 1 ადგილი, ასოც. პროფ. – 2 ადგილი.
25. **„შინაგანი სნეულებანი“** – სრული პროფესორი – 6 ადგილი, ასოცირებული პროფ. – 2 ადგილი, ასისტენტ პროფ. – 1 ადგილი.
26. **„კერძო ქირურგია“** – სრული პროფესორი – 2 ადგილი, ასოცირებული – 2 ადგილი.
27. **„მეანობა-გინეკოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 3 ადგილი.
28. **„პედიატრია და მოზარდთა მედიცინა“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
29. **„ინფექციური სნეულებანი“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოც. პროფ. – 1.
30. **„ნევროლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოც. პროფ. – 1 ადგილი.
31. **„ანგიოქირურგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
32. **„დერმატოვენეროლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
33. **„ოტორინოლარინგოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
34. **„კლინიკური ბიოქიმია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
35. **„ალერგოლოგია-იმუნოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი –1 ადგილი.
36. **„პალიატიური მედიცინა“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
37. **„ნეიროქირურგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოც. პროფესორი – 2.
38. **„ფსიქიატრია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოც. პროფესორი – 1 ადგილი.
39. **„ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
40. **„უროლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
41. **„ბავშვთა ქირურგია“** – ასოცირებული პროფესორი – 2 ადგილი.
42. **„ბავშვთა ჰემატოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
43. **„ბავშვთა ინფექციები“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
44. **„ლაპარასკოპიული გინეკოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
45. **„რეპროდუქტოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
46. **„ტრანსპლანტოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
47. **„ჰომეოპათია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
48. **„სამკურნალო მცენარეები და ფიტოთერაპია“** – ასისტენტ-პროფესორი – 1.
49. **„ოფთალმოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
50. **„ონკოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
51. **„ტრავმატოლოგია-ორთოპედია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
52. **„სასამართლო მედიცინა“** – ასოც. პროფ. – 1 ადგილი, ასისტენტ-პროფ. – 1 ადგილი.
53. **„სტომატოლოგია, ყბა-სახის ქირურგია“** – ასისტენტ-პროფესორი – 1 ადგილი.
54. **„კურორტოლოგია, ფიზიოთერაპია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი, ასოცირებული პროფესორი-1 ადგილი.
55. **„ეპიდემიოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
56. **„სამედიცინო რეაბილიტაცია“** – სრული პროფ.- 1 ადგილი, ასოც. პროფ. – 1.
57. **„ჰემატოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
58. **„გერონტოლოგია, გერიატრია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
59. **„ბავშვთა ნევროლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
60. **„თერმული დაზიანებები“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
61. **„ენდოკრინოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
62. **„კლინიკური ტოქსიკოლოგია“** – სრული პროფ.- 1 ადგილი, ასოც. პროფ. – 1.
63. **„ნეონატოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
64. **„კოლოპროქტოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
65. **„ქცევის ფსიქოფიზიოლოგია“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
66. **„მამოლოგია“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
67. **„კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა“** – ასისტენტ-პროფ. – 1 ადგილი.
68. **„საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“** – ასოც. პროფ. – 1 ადგილი.
69. **„საოჯახო მედიცინის საფუძვლები“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
70. **„საექიმო-შრომითი ექსპერტიზა“** – სრული პროფესორი – 1 ადგილი.
71. **„ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები“** – ასოც. პროფ. – 1 ადგილი.
72. **„სადაზღვევო მედიცინა“** – ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.

**კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ მათი სპეციალობისადმი შესაბამისობის, აკადემიური ხარისხის, პედაგოგიური სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები, სასწავლო პროგრამა – სილაბუსი – შედგენილი ECTS- ის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად.**

**კონკურსის ვადაა ორი კვირა განცხადების გამოქვეყნების დღიდან.**
**მისამართი: თბილისი, 01-79, მერაბ კოსტავას, 47.**
**ტელ: 93-69-40.**

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აცხადებს აუქციონს

**სამხედრო საჰაერო ძალებისთვის გამოუსადეგარი, ზენორმატიული Л-29 ტიპის თვითმფრინავებზე.**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| ლოტის # | საქონლის დასახელება | რაოდენობა | საწყისი ღირებულება ლარი. | ბიჯი |
|---|---|---|---|---|
| 1 | Л-29 ტიპის თვითმფრინავი. | 9 ც. | 90000 | 300 |

გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი „220101502“, ანგარიშის №120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტა“-ს მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2007 წლის 6 სექტემბრიდან 2007 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 9 ოქტომბერს 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.

**აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.

– ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები.

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

ტელ: 95-28-28.

**მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

● ჩვენთვის თქვენ როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



## ინფორმაცია

# ქანდაკებები ჯილჯილა ოქროთი მოიფერება

**ქანდაკებების სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოების შესყიდვაზე თბილისის მერიამ ტენდერი გამოაცხადა.**

როგორც თბილისის მერიიდან იტყობინებიან, ტენდერში მონაწილეობის მიღება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია.

შესყიდვის ობიექტი ორ ლოტად არის დაყოფილი – თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტთან სტელის „კაცი და მზე" სარესტავრაციო-აღდგენითი და დეტალების ჯილჯილა ოქროთი მოოქროვების სამუშაოები და თბილისში, თამარ მეფის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე „კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს" ქანდაკების დეტალების მოოქროვება.

**ინტერპრესნიუსი**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ სახელმწიფო უშიშროების პენსიონერი მარჩენალის დაკარგვის გამო. 70 წლის, 51 წლის მუშაობის სტაჟით. 2003 წლის 1 აგვისტოდან შრომის ვეტერანი; აღარ მივრცელებენ შეღავათებს შუქზე, ტელეფონზე, წყალზე, გაზზე და ნაგვის გატანაზე. ნამდვილად არ მეკუთვნის?**

**ამირან შატბერაშვილი**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენს მიერ ჩამოთვლილ კომუნალური მომსახურების გადასახადებზე შეღავათით სარგებლობის უფლებას, სამწუხაროდ, ვერ მოიპოვებთ.

* * *

**კითხვა: გაოცებული ვარ იმ პიროვნების თუ კომისიის მოქმედებით, რომელმაც პარლამენტის სხდომაზე განსახილველად შეიტანა კანონი მრავალშვილიანი დედებისთვის თითოეულ ბავშვზე მათხოვრული 5 ლარის დახმარების გაუქმების თაობაზე ან როგორ მიიღეს ასეთი კანონი?**

**ანა გობრონიძე**

**პასუხი:** სამწუხაროდ, სოციალური (საოჯახოძ დახმარების მიღების უფლება მხოლოდ იმ ოჯახებს დარჩათ, რომელთაც ჰყავთ 7 ან მეტი არასრულწლოვანი შვილი და აღნიშნულ დახმარებას 2007 წლის 1 იანვრამდე იღებდნენ. დანარჩენ მრავალშვილიან ოჯახებს ყოველთვიური დახმარება იმ შემთხვევაში ეძლევათ, თუ მონაწილეობას მიიღებენ სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაში და დააგროვებენ შესაბამის სარეიტინგო ქულებს.



გირჩევთ, თუ დღემდე არ მიგიმართიათ, დაუყოვნებლივ შეიტანოს თქვენმა შვილმა განაცხადი სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკომუნიკაციო პუნქტში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დარეგისტრირდეს.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, მიპასუხოთ, საბჭოთა კავშირის დროს რამდენი სახის პერსონალური პენსია ინიშნებოდა და რა ოდენობის?**

**მიხეილ მჟავანაძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, ინიშნებოდა 3 სახის პერსონალური პენსია: ადგილობრივი, რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობისა. მისი განსაზღვრა ხდებოდა სპეციალური კომისიის მიერ პიროვნების შრომის სტაჟისა და დამსახურების გათვალისწინებით.

* * *

**კითხვა: სათანადო წესების დაცვით, რეგისტრირებულ ქორწინებაში გავტარდი მამაკაცთან, რომელიც სიცოცხლეს მერჩივნა, მაგრამ ჩვენი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა – მალე კარზე მისი პირველი მეუღლე და 3 მცირეწლოვანი შვილი მომადგა – ქორწინების მოწმობით. გამოირკვა, რომ მეუღლემ, როგორც მე, ისე შესაბამის ორგანოს რეგისტრირების დროს დაგვიმალა, რომ იმყოფებოდა ქორწინებაში და არ იყო ოფიციალურად განქორწინებული. თავზარდაცემული ვარ, ასეთ მატყუარა კაცთან აღარ შემიძლია ურთიერთობის გაგრძელება. რა გზით შეიძლება ჩვენი ქორწინების გაბათილება?**

**ნანა აბულაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, რეგისტრირებული ქორწინება შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი, თუ იგი მოხდარია ქორწინების დამაკმაყოფილებელი გარემოებების დროს ან თუ ადგილი ჰქონდა ფიქტიურ ქორწინებას, თუ მეუღლეებმა ქორწინების რეგისტრაციის დროს არ იცოდნენ დამაბრკოლებელ გარემოებათა შესახებ, სასამართლოს ასეთი ქორწინება შეუძლია ბათილად ცნოს ამ გარემოებათა გამოვლენის მომენტიდან. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე ეს ქორწინება მეუღლეთა შორის წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც – რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

**კითხვა: ვარ 62 წლის, არასოდეს არსად არ მიმუშავია, ვუვლიდი ქმარ-შვილს და ვიმყოფებოდი მეუღლის კმაყოფაზე, ახლა მეუღლე გარადმეცვალა და ასაკშიც შევედი. გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება მივიღო რაიმე სახის პენსია?**

**რობერტ სარჯველაძე**

**პასუხი:** დიახ, გეკუთვნით პენსია. 2007 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, პიროვნებას აქვს თუ არა შრომის შტაჟი – მინიმალური ოდენობის პენსია – 38 ლარი თვეში ყველა შემთხვევაში დაენიშნება, ასე რომ, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან პენსია ტყუილად დაგიკარგავთ, თუ 62 წლის ბრძანდებით, რომ მიგემართად, ახალი საპენსიო კანონის ძალაში შესვლის დღიდანვე გქონდათ მისი მიღების უფლება. გირჩევთ, განცხადებითა და პირადობის დამადასტურებელი საბუთით დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თქვენი რაიონის ფილიალს, ვინაიდან, კანონის თანახმად, პენსიის დანიშვნა განცხადებისა და საბუთების წარდგენის დღიდან არის გათვალისწინებული.

* * *

**კითხვა: ვარ 15 წლის. 3 წელია გარდამეცვალა მამა. ვიღებ მისი დაღუპვის პენსიას, მძიმე ოჯახური პირობების გამო, იძულებული ვარ, ვიმუშაო და ავადმყოფ დედას დავეხმარო ლუმა-პურის შოვნაში. შემიწყდება მამის გარდაცვალების პენსია?**

**ნათია გელბახიანი**

**პასუხი:** არა, არ შეგიწყდებათ. 18 წლის შესრულებამდე მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნული პენსია ყველა შემთხვევაში უნდა მოგეცეთ.

* * *

**კითხვა: ვარ 32 წლის მყავს მეუღლე და 2 შვილი. ვცხოვრობ ქუთაისში, მშობლები თბილისში ცხოვრობდნენ. ორი წლის წინათ დედა გარდამეცვალა. ახლა (2 თვეაძ – მამა. მყავს ერთი და, რომელიც მშობლებთან ერთ ოჯახად ცხოვრობდა. ვინაიდან იყო გათხოვილი. ჩემს მშობლებს საბურთალოზე ჰქონდათ კერძო სახლი და სხვა ქონება. მეკუთვნის წილი მშობლების დანატოვარი უძრავმოძრავი ქონებიდან?**

**ლაურა ოსაძე**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, გეკუთვნით, თქვენ ისეთივე პირველი რიგის მემკვიდრე ხართ, როგორიც თქვენი და, რომელიც მშობლების სახლში ცხოვრობდა.

* * *

**კითხვა: ვარ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, 4 ივნისს გავხდი 18 წლის და მამის დაღუპვის გამო დანიშნული პენსიაც შემიწყვიტეს. ივლისის თვეში მივაკითხე ბანკს და მითხრეს აღარ გეკუთვნისო. მე ხომ სტუდენტი ვარ, რატომ არ მაძლევენ ჩემს 38 ლარს, რომ გზის ფული მაინც აღარ მეთხოვა ყოველდღიურად ავადმყოფი დედისათვის.**

**მაგდა ჯიბლაძე**

**პასუხი:** 2007 წლის 1 იანვრიდან მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნული პენსია შვილებს, სამწუხაროდ, მხოლოდ 18 წლამდე ეძლევათ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-**

## ხსოვნა

# ანდრო კიკნაველიძე



ქართულმა საზოგადოებამ უდროოდ დაკარგა გულნათელი და ერთგული მამულიშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ანდრო ივანეს ძე კიკნაველიძე.

ანდრო ივანეს ძე კიკნაველიძე დაიბადა 1926 წლის 15 მარტს ბაღდათის რაიონის სოფელ კიკნაველეთში.

1943 წლის ივლისიდან მუშაობდა სოფელ საკრაულას (ყოფილი კიკნაველეთისძ კოლმეურნეობაში რგოლის ხელმძღვანელად. შემდეგ სწავლა გააგრძელა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1946 წლიდან მუშაობდა სოფელ საკრაულას კოლმეურნეობის უფროს მოანგარიშედ (ბუღალტრის მოადგილედძ.

1948 წელს სწავლა გააგრძელა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგროეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა.

1953 წლიდან მუშაობდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელ საგურამოს სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლაში მასწავლებლად, ხოლო 1954 წლიდან – ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, შემდეგ – დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1963 წლის აპრილიდან 1966 წლამდე მუშაობა გააგრძელა ამავე ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბებულ სახალხო მეურნეობსი ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, ხოლო 1966 წლის სექტემბრიდან 1973 წლამდე მუშაობდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის აღდგენილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1973 წლიდან 1981 წლამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 1981 წლიდან მუშაობა გააგრძელა ჯერ საქართველოს ზოოტექნიკურ სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის პროფესორად, შემდგომ კი საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ორგანიზაციის კათედრის გამგედ, ხოლო 2001 წლიდან – ამავე კათედრის პროფესორად.

1958 წელს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1961 წელს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო წოდება. 1972 წელს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1976 წელს – პროფესორის სამეცნიერო წოდება. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10-მდე სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და მონოგრაფია.

მისი ხელმძღვანელობით დაცული აქვთ არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამ მოწინავე სტუდენტს დანიშნული აქვს პროფ. ა. კიკნაველიძის სახელობის სტიპენდია.

აკადემიკოს ანდრო კიკნაველიძის, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მოსწავლეების, კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

**საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტი; ეკონომიკის, ორგანიზაციის და მართვის დეპარტამენტი.**

## ტერაქტი

# პაკისტანში ოცდაოთხი ადამიანი დაიღუპა

**24 ადამიანი დაიღუპა პაკისტანის ქალაქ რავალპინდში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად.**

პირველი აფეთქება ადგილობრივი დროით 07:20 სთ-ზე მოხდა. ავტობუსში, რომელშიც, სავარაუდოდ, პაკისტანის ატომური ენერგიის კომისიის წევრები ისხდნენ, 15 ადამიანი დაიღუპა.

მეორე აფეთქება ცოტა ხნის შემდეგ პირველი აფეთქების ადგილიდან სამ კილომეტრში მოხდა. ბაზარში, წინასწარი ინფორმაციით, დანაღმული მოტოციკლეტი აფეთქდა.

სამხედრო მოსამსახურეთა განცხადებით, ტერაქტებს სულ მცირე 24 ადამიანი ემსხვერპლა.

**ინტერპრესნიუსი**

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 171. ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი




● გაზეთი ტრაგედიას სურათზე აღნიშნული კარიკატურით გამოეხმაურა: „მოგზაურის“ რედაქციაში ზის ფილიპე მახარაძე – ი. ჭავჭავაძის იდეური მკვლელი, რომელიც ამ გაზეთისთვის ჭორებს წერს და პრესით ავრცელებს.

**◉ მეზობლებთან**

## ტერაქტებისა გვეშინიაო



**რუსეთელებს ტერაქტის მსხვერპლობის შესაძლებლობისა. აი, როგორი სურათი მიიღეს:**

**3 პროცენტი – გაუჭირდა პასუხის გაცემა.**

**10 პროცენტი – სჯერა, რომ არაფერი არ შეემთხვევა.**

**14 პროცენტი – არ უფიქრია ამაზე.**

**21 პროცენტი – ძალიან ეშინია.**

**52 პროცენტი – გარკვეული შიში აქვს.**

...თუ გახსოვთ, ერთ დროს – მარქსისა და ენგელსის ხანაში – აჩრდილი დაძრწოდა ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა. იმ აჩრდილმა ესტაფეტა ახალს – ტერორიზმის აჩრდილს გადააბარა, რომელმაც ევროპა იპატარავა და მთელ მსოფლიოში დაძრწის. ტერორი კაცობრიობისთვის განსაკუთრებით თავსატეხი მიმდინარე საუკუნეში გახდა. ეს ლევადა-ცენტრის მონაცემებითაც დასტურდება...

**სადღეისოდ ტერორიზმი უფრო აფრთხობს ადამიანებს, ვიდრე ავადმყოფობები, ქუჩის დამნაშავეობა ან ხელფასის გადაუხდელობა. ლევადა-ცენტრის სოციოლოგები დაინტერესდნენ, თუ რამდენად ეშინიათ**

**◉ ვითარება**

## რად დაისვა ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი?

**განათლების სამინისტროსა და სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტომ სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბეს სკოლა-პანსიონში სამედიცინო საქმიანობის დარღვევის ფაქტები გამოავლინა.**

როგორც სახალხო დამცველის აპარატში განაცხადეს, სააგენტომ დაადგინა, რომ სოფელ ზემო ბოდბეს სკოლა-პანსიონის ექიმი არის სერტიფიცირებული სპეციალობაში – „შინაგანი სნეულებანი“ და ეწევა უკანონო საქმიანობას სპეციალობით – „პედიატრია“, ანუ ექიმს პედიატრად მუშაობის უფლება არ ჰქონდა.

– აღნიშნულთან დაკავშირებით, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაეცა სიღნაღის სასამართლოს“ ასევე სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი დაწესებულების ექიმის პასუხისმგებლობის შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, ექიმს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი 1000 ლარის ოდენობით. იმის გამო, რომ ექიმი ამჟამად იმყოფება დეკრეტულ შვებულებაში, მის მიმართ სხვა ღონისძიებების განხორციელება ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა, – აღნიშნეს სახალხო დამცველის აპარატში.

**ინტერპრესნიუსი**

**◉ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის 100 წლისთავის გამო**

## მკვლელები ერის უგვირგვინო მეფისა

**გაზეთი „მოგზაური“ სოციალ-დემოკრატების გამოცემა იყო, რომელიც იბეჭდებოდა 1905 წლის იანვრიდან – ოქტომბრამდე. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ი. როსტომაშვილი, ფაქტობრივი რედაქტორი კი – ფილიპე მახარაძე. რედაქციაში შედიოდნენ:** ა. წულუკიძე, ივ. გომართელი, ნ. აზიანი, ირ. ევდოშვილი და სხვები. ამ გაზეთში, მენშევიკებთან ერთად, თანამშრომლობდნენ ბოლშევიკებიც. როდესაც 1907 წელს, ვერაგულად მოკლეს ქართველი ერის უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე, გაზეთი „მოგზაური“ ამ ტრაგედიას სურათზე აღნიშნული კარიკატურით გამოეხმაურა: „მოგზაურის“ რედაქციაში ზის ფილიპე მახარაძე – ი. ჭავჭავაძის იდეური მკვლელი, რომელიც ამ გაზეთისთვის ჭორებს წერს და პრესით ავრცელებს, ხოლო მას „გვერდს უმშვენებს“ ი. ჭავჭავაძის ფიზიკური მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი ხელში დამბაჩითა და სატევრით.

**კოტე ჩოლოყაშვილი**

**◉ ინფორმაცია**

## „ტაძარი“ ბავშვებზე ზრუნავს

**მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს კლუბი „ტაძარი“ დაასაქმებს.**

კულტურის სამინისტროდან ისტორიულ ციხე-ქალაქებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად კლუბის მორიგი ნაკადი გაემგზავრა. „ტაძრელებს“ მიუსაფარ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებიდან 20-მდე ახალგაზრდაც შეუერთდა.

როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ პაპუნა დავითაიამ განაცხადა, კლუბი „ტაძარი“ ბავშვთა სახლების აღსაზრდელთაგან საუკეთესოებს მომავალში იმ სარეაბილიტაციო პროექტებში დაასაქმებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხორციელდება.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.

**◉ ანეკდოტები**

– რას გააკეთებენ რუსები, როდესაც პირველად გადასხდებიან მარსზე?

– ადგილობრივი ჩინელების ჩაწერის სისწორეს შეამოწმებენ.

* * *

ფიქრობს მიხო: ახლა მოდაშია გახეული მაისურები, გახეული ჯინსები, გახეული ქურთუკები... ამ გახეული ნასკების მოდა აღარ დადგება?



* * *

თუ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არ არსებობს, რად მესმის ამის თაობაზე დილიდან საღამომდე?

* * *

ტიპი აფთიაქში შედის და აფთიაქარს ეუბნება:

– ერთი განდონი მინდა!

– ივან, შენ გეძახიან! – გასძახა აფთიაქარმა.

* * *

მიხო უნივერმაღის ზეწრების განყოფილებაში შედის.

– გოგონი, მამაკაცის ზეწრები გაქვთ? – ეკითხება გამყიდველს.

– რაო, ეს ზეწარი მაინცდამაინც შუაში გახვრეტილი უნდა იყოს?

**◉ კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“ ტელ: 95-11-92

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რჯინიშვილის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები

შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87; 899 53-76-16.

შპს „თანადგომა -1“ დავით ალმაშენებლის 150. 899 79-76-79

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 899 36-00-35; 899 53-76-16; 899 17-21-21.

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.